# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№41 (25.169) 25 ოქტომბერი, 2024 წ. 50 თეთრი


## ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

**დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სითბო.**

**ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 768 მილიმეტრი.**

**ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.**

# კიდევ ერთი საბავშვო ბაღი გაიხსნა


**მანანა ტაკიძე 593 10 15 17**


***ნანეიშვილის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტის ბაღი 280 აღსაზრდელს მოემსახურება***

შენობა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ბაღის ეზოში მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სპორტული მოედანი. ახალი ბაღის გახსნას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მოადგილე ლელა სურმანიძესთან და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორ დავით დიასამიძესთან ერთად დაესწრო.

- კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა - ექსპლუატაციაში შევიდა სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულება. თანამედროვე სტანდარტის საბავშვო ბაღი სრულად აღჭურვილია უახლესი ინფრასტრუქტურით. პარალელურად, მიმდინარე წელს კიდევ ორი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდება და ჯამში 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. საბავშვო ბაღების მშენებლობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას ქალაქის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, მომავალშიც გავაგრძელებთ, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, აეროპორტის გზატკეცილზე მიმდინარე ბაღის მშენებლობის დასრულებას კი წლის ბოლომდე ვარაუდობენ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, დამატებით კიდევ 6 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რისთვისაც 25 მილიონ 900 000 ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2025 წლის აგვისტოში დასრულდება. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ექვსივე ბაღი ექსპლუატაციაში 2025 სასწავლო წელს შევა და ჯამში 1400 აღსაზრდელს მოემსახურება.

პარალელურად მიმდინარეობს პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის შენობის გამაგრების სამუშაოები, რომელიც დასრულების ეტაპზეა. სამუშაოებისთვის 2 მილიონ 459 977 ლარია გათვალისწინებული. 2026 წლამდე დასრულდება 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურად გარდაქმნის სამუშაოები, რისთვისაც 4 მილიონ 169 814 ევროა გათვალისწინებული. წელსვე დაიწყება დამატებით ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასა და ივანე მესხის პირველ ჩიხში, რისთვისაც 10 763 601 ლარი დაიხარჯება. საბავშვო ბაღები ჯამში 360 აღსაზრდელზეა გათვლილი.

2013 წლიდან დღემდე, ბათუმში აშენდა 10 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 საბავშვო ბაღს. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 30 მილიონ 914 624 ლარი იყო გათვალისწინებული.

# „თამაში ჭვავის ყანაში – სამი ფათერაკიანი დღე“ – მორიგი პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში


**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**


***ბათუმის დრამატულმა თეატრმა 146-ე თეატრალური სეზონი რიგით მე-2 პრემიერით „თამაში ჭვავის ყანაში - სამი ფათერაკიანი დღე“ (ჯერომ სელინჯერის ნაწარმოების მიხედვით) გახსნა. სპექტაკლი მაყურებელმა დრამატული თეატრის მცირე სცენაზე იხილა***

დამდგმელი რეჟისორია ალექსანდრე ქანთარია, რეჟისორი - სალომე ჯიჯავაძე, მხატვარი - პაატა მძინარაშვილი, კომპოზიტორი - ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, რეჟისორის თანაშემწე - თეონა ლორთქიფანიძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ზაალ გოგუაძე, ქეთევან ეგუტიძე და ნინო კვიტაიშვილი, ასევე, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები: ლევან თედორაძე, მარიამ გუჯაბიძე, დავით მამრიკიშვილი, ლუკა ჭეიშვილი, სალომე ბედინეიშვილი და კახაბერ ბრეგაძე.

ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ მოზარდის მოგზაურობაა დროსა და სივრცეში. წიგნში გასაოცარი ოსტატობითაა გადმოცემული ყმაწვილის ჰოლდენ კოლფილდის სევდითა და პროტესტით, წინააღმდეგობებით აღსავსე და, ამავე დროს, უაღრესად სათუთი სულის თავგადასავალი, როცა რეალურ სამყაროს ეჯახება. ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქანთარია მარადიულ, თანამედროვეობისთვის სიღრმისეულ პრობლემას შეეხო, რადგან უკლებლივ ყველა თაობას ჰყავდა, ჰყავს და კვლავაც ეყოლება თავისი ჰოლდენ კოლფილდი.

- რეპერტუარში არ გვქონდა თინეიჯერებზე მორგებული სპექტაკლი, ვეძებდით შესაბამის პიესას და პირდაპირ ამოტივტივდა ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“. ამაზე უკეთესი რომანი, მგონი, ამ თაობისთვის არც არსებობს. ეს უკვე კლასიკაა და მიუხედავად იმისა, რომ 60-იან წლებშია დაწერილი, წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია მასში ასახული პრობლემები, რომლებსაც მოზარდი სწორედ ამ ასაკში განიცდის. ამ პროცესს ყველა გადის, როცა ფასეულობები უნდა გამყარდეს, ეცვლებათ ხასიათი, მიდგომები. ამ დროს არ იციან, როგორ მოიქცნენ, ზოგი ამ ყოველივეს პროტესტით გამოხატავს, ზოგი - სხვაგვარად, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ ყველაზე ღირებული იქნებოდა ამ უკვდავი ნაწარმოების დადგმა. ძირითადად, სპექტაკლში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან დაკავებული. მათ ჩემთან, ასე ვთქვათ, დამატებითი კურსი გაიარეს. ეს არ იყო მხოლოდ დადგმა, ეს იყო სასწავლო პროცესიც და ვფიქრობ, შედეგსაც მივაღწიეთ. ასეთი სპექტაკლები, წესით, ახალგაზრდებისთვის მოსაწყენი არ უნდა იყოს და ჩვენს რეპერტუარშიც იგი საპატიო ადგილს დაიკავებს. ვფიქრობ, ჩვენს სტუდენტებს, თუ საკმარისად იმუშავებენ საკუთარ თავზე, ძალიან კარგი მომავალი აქვთ, - გვითხრა ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე ქანთარიამ.

- სარეპეტიციო სამუშაოები დაახლოებით თვე-ნახევარი გაგრძელდა. გამოგიტყდებით და, შესასრულებლად საკმაოდ რთულია ჩემი როლი. ალბათ, იმის 40%-იც ვერ ვითამაშე, როგორც საჭირო იყო. თავიდან არ მეშინოდა სირთულის, ადვილად გამოვძვრები-მეთქი, ვფიქრობდი, თუმცა შევცდი (იცინის). იმდენად ჩამითრია როლმა, ვცდილობდი, ბევრი საერთო დამეჭირა ჩემსა და ჰოლდენ კოლფილდის პერსონაჟს შორის. ადამიანები, რომლებსაც ზუსტად იგივე პრობლემები ჰქონდათ, როგორიც ჰოლდენს, ჩემს სამეგობრო წრეშიც მყავს და პროტოტიპების აღმოჩენა არ იყო რთული. თამაშისას რამდენიმე რამეზე ერთდროულად მიწევდა ფიქრი,


იხ. გვ-9 გვ.



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

**ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.**

**გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!**

**ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!**

**წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**

**577 20 43 55.**

# ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲐ - ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲧᲣᲗᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

***დასრულდა წინასაარჩევნო კამპანია, ხალხთან შეხვედრები, პოლიტიკური ბრძოლა საარჩევნო ყუთებთან ინაცვლებს - ერთი დღე რჩება გადამწყვეტ არჩევნებამდე. მმართველი გუნდი ვარაუდობს, რომ არჩევნებში ხმების 60 პროცენტზე მეტს აიღებს და „ნაციონალურ მოძრაობას“ აკრძალავს, ოპოზიცია კი დარწმუნებულია, ერთად „ქართულ ოცნებას“ გაუშვებენ და კოალიციური მთავრობა მოვა ხელისუფლებაში. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებამდე პრემიერმინისტრობის კანდიდატისა და ტექნიკური მთავრობის დასახელება გადაიფიქრა***

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში ერთგვარი რღვევა შესამჩნევი გახდა. ცოტა ხნის წინ პარტია „საქართველოსთვის“ რამდენიმე წევრმა დატოვა, მიზეზად პარტიის ლიდერების მხრიდან კომუნიკაციის არარსებობა და კუთვნილი თანხის მიუღებლობა დაასახელეს. გარდა ამისა, კოალიცია „ძლიერი საქართველოდან“ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე პარტიის ერთბაშად ორმა წევრმა თქვა უარი - მერაბ ქურაიძემ და სულხან კოჩალიძემ. კოალიციაში ამბობენ, რომ ამ ყველაფრის უკან უსაფრთხოების სამსახური დგას, რომელმაც „ძლიერი საქართველოს“ წინააღმდეგ სპეცოპერაცია დაიწყო. თავის მხრივ, მმართველ გუნდში ვარაუდობენ, რომ ამ კოალიციას საომამავლოდ ბევრი ადამიანი დატოვებს, რადგან იგი თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის.

საქართველოს მოსახლეობამ არჩევნების მოსაგებად პარტიების მხრიდან გადადგმული არაერთი ნაბიჯი ნახა, ერთმანეთის ლანძღვით დაწყებული და ჩახუტებით დამთავრებული პოლიტიკური გაერთიანებებიც. ოპოზიციური პარტიების მთავარი მიზანი თავიდანვე მმართველი პარტიის მოშორება იყო და ამისთვის ისინი სხვადასხვა გზას მიმართავდნენ. ვფიქრობ, სლოგანი „ყველა ერთის წინააღმდეგ“ მათ ძალიან მოუხდებოდათ, რადგან პარტიული ბრძოლა კოალიციურ, ერთიან ბრძოლად აქციეს უფრო მეტი ხმის მოპოვების იმედით. პროცესს წამოეწია პრეზიდენტ ზურაბიშვილის „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირება და ერთ დროს მათი მხარდაჭერით არჩეული პრეზიდენტი ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ ექცა მმართველ პარტიას. სალომე ზურაბიშვილის შეთავაზებულ „ქართულ ქარტიას“ თითქმის ყველა ძლიერმა ოპოზიციურმა ძალამ მოაწერა ხელი, გარდა „გირჩისა“. პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია თავიდან განზე გადგა, თუმცა სულ რამდენიმე დღის წინ პოზიცია შეიცვალა და ქარტიის ხელმომწერთა სიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, „გირჩის“ უარმა კი ოპოზიციონერი დეპუტატები იმაზე დააფიქრა, პარტიის ლიდერმა იაგო ხვიჩიამ „ქართულ ოცნებასთან“ პოლიტიკური გარიგება ხომ არ დადო.

ოქტომბრის არჩევნები განსაკუთრებულია როგორც იდეურად, ისე ტექნოლოგიურად. ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე ჩვენს ქვეყანასაც მიეცა შესაძლებლობა, ჩატარდეს ელექტრონული არჩევნები, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მუშაობს. მმართველ პარტიაში მიიჩნევენ, რომ აღნიშნულმა სიახლემ არჩევნების მიმართ ნდობა გაზარდა, გაყალბების რისკები ნულამდე დაიყვანა და არჩევნებთან დაკავშირებული სპეკულაციები დაასრულა.

აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებს ვკითხეთ, თუ რა მოლოდინი აქვთ ხვალინდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲘᲡ** თქმით, ხვალინდელი არჩევნები ჩვენი ქვეყნის განვითარების გარანტიაა.

- 26 ოქტომბერი არის არჩევნები, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომდევნო განვითარების გარანტიებს ქმნის. სახელმწიფოს სჭირდება მშვიდობა და სტაბილურობა, სტაბილურობის გარანტი კი „ქართული ოცნებაა“. ჩვენი გუნდი ამ არჩევნებში დამაჯერებელ უპირატესობას მოიპოვებს და შემდგომ დაიწყება ურთიერთობების გადატვირთვა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან. ოპოზიცია კრახისთვისაა განწირული. ამ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით გაიმარჯვებს ქართველი ხალხი და უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარება, - განაცხადა ჩვენთან საუბარში ირაკლი თავდგირიძემ.

ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენლები კი კვლავ ერთობაზე საუბრობენ.

- ჩვენი ოფიციალური პოზიცია და მოლოდინიც ისაა, რომ ერთიანობით გავიმარჯვებთ, - გვითხრა „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **ᲜᲘᲙᲐ ᲫᲐᲣᲨᲘᲒᲐᲫᲔᲛ**.

რაც შეეხება პარტიას „საქართველოსთვის“, ამბობენ, რომ მათ გუნდს არათანაბარ პოლიტიკურ გარემოში უწევს ბრძოლა არჩევნების მოსაგებად.

- აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში ვატარებთ წინასაარჩევნო კამპანიას, ძირითადად - ამომრჩეველთან უშუალო კომუნიკაციის გზით, რადგან საკმაოდ არათანაბარ პოლიტიკურ გარემოში გვიწევს ბრძოლა მწირი ფინანსური რესურსისა და სახელმწიფოს მხრიდან არსებული წნეხის გამო. ტელევიზიებში უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების საშუალებასაც კი არ გვაძლევს ხელისუფლება. არსებული რეგულაციის მიუხედავად, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ, ფაქტობრივად, აგვიკრძალა უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსება ტელევიზიებში, რომელიც მაუწყებელს აძლევდა უფლებამოსილებას, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად ის პარტია ეღიარებინა, რომელიც არჩევნების წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით სარგებლობს. ამის გამო ტელეკომპანია „ფორმულა“ დააჯარიმა კომისიამ. ფაქტია, რომ ხელისუფლება გამორჩეულად სწორედ პარტიას - „გახარია საქართველოსთვის“ ებრძვის, რადგან სწორედ ჩვენს პარტიაში ხედავს იმ ერთადერთ დაუძლეველ პრობლემას, რამაც პოლიტიკური ცვლილებები უნდა უზრუნველყოს ჩვენს ქვეყანაში. ამის დასტური ტელეკომპანია „იმედში“ ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუცაა, სადაც „ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ საუბრის ძირითადი ნაწილი გახარიას ლანძღვას დაუთმო და, ფაქტობრივად, გასამართლებითა და დაჭერით დაგვემუქრა მთელ პარტიას. მიუხედავად არნახული ზეწოლისა და სხვა ხელის შემშლელი ხელოვნური ბარიერებისა, მოლოდინები საკმაოდ პოზიტიური გვაქვს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. ცვლილების დრო დადგა და, რაც მთავარია, 12 წლის მანძილზე პირველად, ხალხში უკვე მომწიფებულია ამასთან დაკავშირებული მოლოდინები. თითქმის 21-წლიანი „ქოც-ნაცური“ პოლიტიკური ჰეგემონია ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ, - გვითხრა პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲡᲐᲛᲜᲘᲫᲔᲛ**.

- ჩვენი მოლოდინია, რომ 26 ოქტომბრის შემდეგ აუცილებლად შეიცვლება ხელისუფლება საქართველოში და ქვეყანა დაუბრუნდება ევროკავშირის გზას, რომელსაც ჩამოშორდა „ქართული ოცნების“ პირობებში. ამომრჩეველთა 85 პროცენტი სწორედ ამ გზას ემხრობა. უკვე ყველა ჩვენი პარტნიორი საუბრობს იმაზე, რომ საქართველო ევროკავშირის გზას შორდება, შესაბამისად, ეს არჩევნები არის ცივილიზაციებს შორის, ეს ცივილიზაციები კი რუსეთი და ევროპაა. მოსახლეობამ ყოველთვის იცის, კრიტიკულ მომენტში რა არჩევანი გააკეთოს, - ჩვენთან საუბარში განაცხადა „ძლიერი საქართველოს“ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა **ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲛ**.

რა შედეგით დასრულდება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი სრულად პროპორციული არჩევნები და როგორ გადანაწილდება ხმები, ელექტრონული სისტემის დამსახურებით, ხვალვე, დღის ბოლოს გვეცოდინება, მანამდე კი თითოეული მოქალაქის ვალია, საკუთარი პოზიცია საარჩევნო ყუთებთან დააფიქსიროს.

## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

წინასაარჩევნო გარემოს შეფასებით დაიწყო აჭარის მთავრობის სხდომა. მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი მორგებული და გათვლილია აჭარის თითოეული მცხოვრების საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე. მთავრობის თავმჯდომარემ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა, უპირველესად, ბიზნესის თავისუფლებას გაუსვა ხაზი. აღნიშნა, რომ მშვიდობის პირობებში შესაძლებელია ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიღწევა და უკვე მეორე წელია, როგორც აჭარის რეგიონში, ისე მთლიანად ქვეყანაში, ზრდა შთამბეჭდავია. მისივე თქმით, აჭარა არის ერთ-ერთი მოწინავე ევროპაში და მთელ მსოფლიოში. „შეიძლება ითქვას, და სწორედ ამ ორნიშნა ზრდის დამსახურებით, ჩვენ მომავალი წლის ბიუჯეტს ვგეგმავთ 11%-იანი ზრდით. 850 მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული პირველად ვერსიაში. მოგეხსენებათ, რომ ინვესტიციების მოზიდვა და ტურიზმის ხელშეწყობა ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, იზრდება ტურიზმის დეპარტამენტის ამ კონტექსტში დაფინანსება. ეს მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო ეფექტიანად ვაწარმოოთ როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მარკეტინგული კამპანია, რეგიონის პოპულარიზაცია როგორც ევროპის, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე. მოგეხსენებათ, რომ ტურიზმი ჩვენი რეგიონისთვის არის შემოსავლების ძირითადი წყარო. ასევე, ჩვენი ბიზნესის ბრუნვისთვის, მოქალაქეების და კერძო სექტორისთვის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგია და, შესაბამისად, მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება ტურიზმის განვითარებას აჭარაში. ამ მიმართულებით, დეპარტამენტის დაფინანსების ზრდასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ის საბიუჯეტო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას რეგიონში. არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ უკვე გადაიდგა. კურორტ გოდერძიზე დაგეგმილია ახალი საბაგირო გზის მშენებლობა, ამ მიმართულებით მალე გამოცხადდება შესაბამისი შესყიდვის პროცედურები. სოფლის მეურნეობის მიმართულებითაც იზრდება საბიუჯეტო დაფინანსება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ საოჯახო მეურნეობების განვითარებას. წელს უკვე 4000-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებით“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

* * *

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულ გენერალურ კონსულს ქალაქ ბათუმში ადნან ალთაი ალთინორს უმასპინძლა. დავით გაბაიძემ დიპლომატს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა. მხარეებმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ორ პარტნიორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. თურქმა დიპლომატმა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და გამოთქვა მზაობა, თავისი წვლილი შეიტანოს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავებაში.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, ფესტივალი „განდაგანა“ უამინდობის გამო, 24-25 ოქტომბრის ნაცვლად ნოემბერში გაიმართება. მათივე ინფორმაციით, ფესტივალის გამართვის ზუსტი თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

* * *

სასტუმრო „შერატონში“ საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების 24-ე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. ყრილობამ პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარედ ლევან გურგენიძე აირჩია, რომელიც მას ოთხი წელი უხელმძღვანელებს. ლევან გურგენიძე არაერთი წელია აჭარის პროფკავშირებში თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა აჭარის დარგობრივი პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ მუშაობდა. ლევან გურგენიძის პირველ მოადგილედ ირაკლი ქუთათელაძე, მოადგილედ კი (საზოგადოებრივ საწყისებზე) მანანა შარაშიძე აირჩიეს.

* * *

ბათუმის „ავტოტრანსპორტის“ ძალისხმევით, მაღალი მგზავრთნაკადის გათვალისწინებით, N12 და N16 სამარშრუტო ხაზზე მოძრავი 10-მეტრიანი ავტობუსები სრულად ჩანაცვლდა ახალი, EU 6-ის სტანდარტის 12-მეტრიანი ავტობუსებით. „აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ტრანსპორტირების ხარისხის გაუმჯობესებას, მეტი სივრცისა და კომფორტის უზრუნველყოფას მგზავრებისთვის, ასევე, სატრანსპორტო ქსელის გამტარუნარიანობის ზრდას. ახალი, 12-მეტრიანი ავტობუსები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სერვისის ხარისხს ქალაქის სატრანსპორტო ქსელში.

* * *

ქობულეთში უნივერსალური სპორტული კომპლექსი აშენდება. ინფორმაციას ქობულეთის მერია ავრცელებს. კომპლექსში განთავსდება ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის დარბაზები. იქნება FIB-ს სტანდარტის 500 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. მერიის ინფორმაციით, აჭარის პროექტების მართვის კომპანია აცხადებს ტენდერს ქალაქ ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩის N28-ში, სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე.

* * *

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, ქობულეთში მრავალბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა იწყება. სამუშაოებზე ტენდერი უკვე გამოცხადებულია. პროექტის მიხედვით, ქობულეთში 2 მრავალბიანი კორპუსი აშენდება. სოციალური სახლი ეკომიგრანტ ოჯახებს გადაეცემათ.

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში აშენდება ორსართულიანი შენობა 120 მოსწავლეზე, რომელშიც განთავსდება 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა ადმინისტრაციული კაბინეტები. შენობა იქნება სრულად ადაპტირებული, მოეწყობა პანდუსები, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე, მოეწყობა საყრდენი კედლები, სრულად კეთილმოეწყობა ტერიტორია ღია სპორტული მოედნით. შენობა სრულად აღიჭურვება საჭირო ინვენტარით. კონკურსის გამოცხადებამდე ტერიტორია გეოლოგიურად ხელახლა შეისწავლეს.პროექტის ღირებულება 4 520 825 ლარია.

* * *

„დინამო ბათუმს“ გიორგი ჭიაბრიშვილი გაწვრთნის, მან ამ თანამდებობაზე უკრაინელი ანდრეი დემჩენკო შეცვალა. გიორგი ჭიაბრიშვილი მუშაობდა „ზესტაფონში“, „საბურთალოში“, თბილისის „ლოკომოტივში“, „დინამო თბილისში“. მისი ხელმძღვანელობით „ზესტაფონი“ და „საბურთალო“ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. საკლუბო კარიერის პარალელურად, ჭიაბრიშვილმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებშიც იმუშავა. ბათუმის „დინამოში“ გიორგი ჭიაბრიშვილის დებიუტი უკვე შედგა - ჩვენი გუნდი „გაგრას“ დაუპირისპირდა და მატჩი მოიგო.

**მოამზადა**
**ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

# „მოუსმინეთ ყველა მხარეს და შეეცადეთ, გაარკვიოთ, ვის რა ინტერესი აქვს საქართველოსთან მიმართებით“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*გთავაზობთ ინტერვიუს ბათუმის საკრებულოს დეპუტატთან, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე* ***თენგიზ აშხაზავასთან.***

**- მოახლოვდა არჩევნები და ცხადია, დაიძაბა პოლიტიკური ველი. ოპოზიცია უკვე აანონსებს საპროტესტო მიტინგს 27 ოქტომბერს.**

- ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ არჩევნებს დამაჯერებელი შედეგით მოვიგებთ. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები აჩვენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს უზარმაზარი რეიტინგი. აქედან გამომდინარე, სხვა გზას ვერ ხედავენ. თუკი გააპროტესტებენ, უცხოეთიდან ის ლიბერალური ძალები დააფინანსებენ, რომლებიც საქართველოში არეულობას გეგმავენ, ოპოზიციის ლიდერები კი, ფულის მიღების შემთხვევაში, შეძლებენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას.

**- პირადად რას ფიქრობთ - რეალური საფრთხე შეიქმნება? დესტაბილიზაციას ვგულისხმობ...**

- იცით რა, სახელმწიფო დღეს იმდენად ძლიერია და ისე კარგადაა მომზადებული მსგავსი სცენარების უვნებელსაყოფად, ვფიქრობ, არაფერი რთულად გადასალახი არ იქნება. გამართულად მუშაობენ სათანადო ორგანოები, სწავლობენ სიტუაციას, ინფორმაციებს და აანალიზებენ პროგნოზულ მონაცემებს. ამის შესახებ განცხადებაც კი გაკეთდა, აქედან გამომდინარე, მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, რომ არავითარი არეულობა არ იქნება, შეუძლიათ აბსოლუტურად მშვიდად იყვნენ და იმ პარტიას მისცენ ხმა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან. ამის თაობაზე არაერთი განცხადება გააკეთა მთავრობის მეთაურმაც, ანუ სიტუაცია კონტროლირებადია და შექმნილია უსაფრთხო გარემო სამართლიანი, ობიექტური, გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად.

**- როგორც ეკონომისტი და ლოგისტიკის ექსპერტი, როგორ შეაფასებთ აჭარაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს?**

- 2014 წელსაც ვიყავი საკრებულოს დეპუტატი. მაშინ ვხელმძღვანელობდი საფინანსო კომისიას და მახსოვს, რომ 2015 წელი დავიწყეთ 96-მილიონიანი ბიუჯეტით, წლევანდელი კი 450 მილიონი ლარი იქნება. ამ დღეებში გამოქვეყნდა პრემიერის წინასაარჩევნო პარტიული პროგრამა, სადაც წერია, რომ თუკი ჩვენ ჩავიბარეთ 8-მილიარდიანი ბიუჯეტი, ახლა გვაქვს 28-მილიარდიანი. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე აღარ ვლაპარაკობ. ამ პროცესში აჭარის წვლილი დიდია, რადგან თბილისის შემდეგ, მეორე რეგიონი ვართ, რომელსაც მშპ-ში ყველაზე დიდი წილი შეაქვს. ანალოგიურად იზრდება აჭარის ბიუჯეტიც. იყო 150 მილიონი და ახლა მილიარდამდე ვართ ასული. ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდაა დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, მილიარდიანი ბიუჯეტი ექნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მომავალ წელს სასტარტო ნაწილში და 500 ათასი ანუ ნახევარი მილიარდი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. ცხადია, როდესაც 100 მილიონი გაქვს, ვერ განახორციელებ ბევრ პროექტს, ხოლო როდესაც 500 მილიონი გაქვს, ხუთჯერ მეტს შეძლებ.

**- თუ შეიძლება, ზოგადად მოვხაზოთ, რა გაკეთდა ბათუმის მუნიციპალიტეტში?**

- ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, რასაც არათუ ერთი, ხუთი საგაზეთო ინტერვიუც არ ეყოფა. ძირითადი მაინც არის კომუნალური ინფრასტრუქტურა, რომელზეც იხარჯება ბათუმის ბიუჯეტის საკმაოდ სოლიდური ნაწილი. ამ მიმართულებით დასრულდა მესამე და მეოთხე ფაზა, დაიწყო მეხუთე - ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე. დაახლოებით ორ წელიწადში მთელ ქალაქს ექნება წყალმომარაგების და კანალიზაციის გამართული სისტემა, რომელიც გათვლილი იქნება 450 ათას მცხოვრებზე.

**- უკვე ასე გაიზარდა ქალაქი?**

- თავის დროზე, როდესაც გერმანული ბანკი KFW გეგმავდა წყალ-კანალიზაციის სისტემებს, აპროგნოზებდნენ, რომ 2030 წლისთვის ბათუმის მოსახლეობა 250 ათასს მიაღწევს. 2024 წლის მოსახლეობის აღწერამ კი დაადგინა, რომ ბათუმში უკვე ცხოვრობს 270 ათასი მოსახლე. თქვენ წარმოიდგინეთ, რო-

გორ გაიზრდება ქალაქი ექვს წელიწადში. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტი დატვირთვით ითვლიან კომუნალური სისტემების გამტარუნარიანობას. ბათუმი ვითარდება, ტურისტული ნაკადები მატულობს, სკვერებზე აღარ ვლაპარაკობ, ასზე მეტი გაშენდა, ან ამბასადორის პროექტი რად ღირს... სახელმწიფოს მთავარი მისიაა, გამართული კომუნალური მეურნეობა მოუმზადოს ბიზნესს, რათა ბიზნესმენებმა უფრო იოლად შეძლონ საკუთარი პროექტების განხორციელება ქალაქის საკეთილდღეოდ. მოგეხსენებათ, ჩვენი გმირთა ხეივნის პროექტი საუკეთესოდ აღიარეს და ოსკარი მიიღო, ბათუმის სტადიონი მართლაც საოცრებაა... ახლა ძველი ბათუმის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს და დაახლოებით რამდენიმე თვეში, როგორც თავის დროზე ძველი თბილისი გაკეთდა, იმის ანალოგიურად გაკეთდება. ასე რომ, ვიამაყებთ - უძველესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ულამაზესი ქალაქის მოქალაქეები ვიქნებით. კიდევ რა ჩამოვთვალო?.. გაზმომარაგება, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები, ზღვისპირა პარკის გაგრძელება, შესაბამისი ინფრასტრუქტურები და სხვა. ყველაფერი წესრიგდება და ეწყობა.

**- „ქართული ოცნების“ უცვლელი მეთოდე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაიქსაქსა. ახლა რომელი პარტია მოიაზრება თქვენს კონკურენტად?**

- ნახეთ, რა ხდება: ეს პოლიტიკური ძალა არ დაშლილა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანი იყო და ერთად დარჩა, უბრალოდ, ახალი სტრატეგიით გადაწყვიტეს შეტევა. რატომ იქცევიან ასე, ჩემთვის გაუგებარია, თუმცა ჩვენი ხელმძღვანელები თვლიან, რომ „ნაციონალები“ ამ დაშლილ მდგომარეობაში უფრო მეტი ამომრჩევლის მოზიდვას აპირებენ. ალბათ სურთ, მათი ელექტორატის ნაწილი ძირითად ჯგუფს გადაყვეს, ხოლო ვინც ყოყმანობს, თავს ახალი შეფუთვით წარმოუდგნენ, ამით თითქოს თავიანთი ცოდვების განულებას ცდილობენ. სხვა პოლიტიკური ახსნა ამ პროცესს არ შეიძლება ჰქონდეს, თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ ძალიან კარგი მეხსიერება აქვს ქართველ ხალხს და ახსოვს მათი მმართველობის ჟამს არსებული რეპრესიული რეჟიმი. გარდა ამისა, არავის ავიწყდება ომში ჩართვის მოწოდებები. ომი ყველაზე მეტი საშინელება და უბედურებაა, რაც შესაძლოა მოუტანონ ჩვენს ქვეყანას.

**- ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება...**

- თავად ხედავთ, რაც ხდება ირგვლივ, მსოფლიო შეიშალა, ყოველ წამს აფეთქების ზღვარზეა ირან-ისრაელის კონფლიქტი. ირანი ჩვენგან 1200-1300 კილომეტრშია, შორს კი არ არის. ისრაელის არაბულ სამყაროსთან დაპირისპირებაში ავტომატურად ჩაერთვება აშშ და აქედან გამომდინარე, რა უბედურება ატყდება, კაცმა არ იცის. დევნილების უზარმაზარი ნაკადები დაიძრება მეზობელ ქვეყნებში სიცოცხლის გადასარჩენად, ანუ უმართავი პროცესები დაიწყება და ამ დროს ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საკუთარი მოსახლეობის დასაცავად. სწორედ ამას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოში. ჩვენ ვეუბნებით მოსახლეობას, ოპოზიციას, მოუსმინეთ ყველა მხარეს: რუსულს, უკრაინულს, ამერიკულს, არაბულს, ევროპულს და შეეცადეთ, გაარკვიოთ, ვის რა ინტერესი აქვს საქართველოსთან მიმართებაში.

**- როგორც ლოგისტიკის ექსპერტს, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს შემდგომი განვითარება?**

- მივყვეთ მოვლენების განვითარების პერსპექტივას. წარმოიდგინეთ, თუ ჩვენ მშვიდობის კუნძული გავხდებით, რა მოხდება - ძალიან სწრაფად განვითარდება ეს ე.წ. შუა დერეფანი. კარგად იცით, რა შრომები მაქვს გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში ამ საკითხზე, ანუ მართლაც, შესწავლილი მაქვს ეს სფერო და ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. შუა დერეფნის და ტექნოლოგიების განვითარება გამოიწვევს უზარმაზარი ინდუსტრიული თუ ციფრული ტექნოლოგიების გადმოტანას ქართულ სივრცეში და თუ დღეს ორნიშნა რიცხვით ისაზღვრება და 10-დან 11 პროცენტამდეა ეკონომიკური ზრდა, გახდება 15 და 20 პროცენტი, ანუ ამ სწრაფ განვითარებას, როგორც ამ დარგის ექსპერტი, რეალურად ვხედავ.

**- და როგორ უნდა მივაღწიოთ ამ ეფექტს?**

- ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის გადარჩენა და საერთაშორისო კონფლიქტების ამ ურთულეს დაძაბულ ვითარებაში საქართველოს უსაფრთხოდ გატარება. თავადაც ხედავთ, ჩვენი ხელისუფლება ამ ამოცანას ბრწყინვალედ ართმევს თავს. აქედან გამომდინარე, არჩევანი მარტივია - ან მოსახლეობა მხარს დაუჭერს „ქართულ ოცნებას“ და მშვიდობას ან ომს და უბედურებას.

**- სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი სწორედ მეორეს ირჩევს, რითი ახსნით ამას?**

- ცხადია, არიან „ნაციონალების“ არაადამიანური ფსევდოლიბერალური პროპაგანდა-აგიტაციით გაბრუებული, გაბრიყვებული მოქალაქეები. მათ ამ ჯერზე არაფერი ეშველებათ და ღმერთმა ნუ ქნას, ისე წარიმართოს საქართველოში პროცესები, როგორც წარმოუდგენიათ. ჩვენი ამოცანაა, ქართული ტრადიციებით, ღირებულებებით, კულტურით და მსოფლმხედველობით შევიდეთ ევროკავშირში.

**- ხაზარაძის გუნდი ამტკიცებს, რომ ანაკლიის პორტის პროექტი შეჩერებულია, რის გამოც საქართველო კარგავს შემოსავლებს და ვერ ახერხებს მოქალაქეების დასაქმებას.**

- არაფერიც არ არის შეჩერებული. აქვე მინდა სამწუხარო ფაქტი აღვნიშნო, ხაზარაძის პროექტი, რომელიც ანაკლიის პორტის ამუშავებას ეხებოდა, იყო ბინძური და შავი ფულის გათეთრების მექანიზმი. მათ ვერ მოახერხეს ამის რეალიზება. შემდეგ, როდესაც ხელი მოეცარათ, დაიწყეს ავანტიურები, ათასნაირი თაღლითური სქემების განხორციელება, რომ როგორმე გაეწელათ დრო და აემუშავებინათ ეს პროექტი, ვერც ეს შეძლეს, რადგან რამდენჯერმე გადაავადა სახელმწიფომ. ამ ეტაპზე ტენდერი უკვე ჩატარდა, ბელგიურმა კომპანიამ გაიმარჯვა, დიდი ინვესტიციები ჩაიდება და გვექნება ინტერმოდალური პორტი საკონტეინერო ტერმინალებით. მაქსიმალური ტვირთბრუნვის შემთხვევაში, საქართველო შეძლებს წელიწადში 10 მილიონამდე ტონა ტვირთის გატარებას. სხვათა შორის, თავად ვმონაწილეობდი ამ კვლევებში და შემიძლია გითხრათ, რომ, მართლაც, იმედისმომცემი პერსპექტივაა. დაახლოებით 200 ათასამდე ადამიანი დასაქმდება გადაზიდვებში, ტერმინალებში, სატრანსპორტო თუ ლოგისტიკურ სისტემებში, სასაწყობე მეურნეობებში და სხვა მასთან მიბმულ სექტორებში. აგრეთვე, აღვნიშნავ, რომ ეს მოგვიტანს 12 მილიარდ დოლარამდე შემოსავალს მხოლოდ ამ სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის მოსამხურებიდან და ძალიან დიდი მაჩვენებელი იქნება ქვეყნისთვის.

**- არჩევნების ხმის ელექტრონული დათვლის სისტემით ჩატარებაზე რას გვეტყვით?**

- ძალიან კარგია, რომ, პირველად საქართველოში, არჩევნები ჩატარდება ელექტრონული აპარატების გამოყენებით, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს გაყალბებას. ჯერ კიდევ 2021 წელს ბათუმში, რამდენიმე საარჩევნო უბანზე გაიტესტა ეს სისტემა. მაშინ მოხდა „ნაციონალების“ მხრიდან ექსპერიმენტის ჩაშლის მცდელობა. გაატარეს რამდენიმე ერთი და იგივე პირადობა. სისტემამ ატეხა ისეთი წივილ-კივილი, რომ ეს ხალხი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა უბნიდან. ასე რომ, სრულიად გამორიცხულია არჩევნების გაყალბება. შესაბამისად, ძალიან მალე, არჩევნების დასრულებიდან ნახევარ საათში, წინასწარი შედეგები ცნობილი იქნება. ასე რომ, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს არჩევნებზე, რათა ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას მისცეს ხმა. ახლა გვყავს და უნდა შევინარჩუნოთ ის ხელისუფლება, რომელიც დაიცავს ჩვენს ეროვნულ, რელიგიურ, ტრადიციულ ღირებულებებს, განავითარებს ეკონომიკას და თავაწეულებს წაგვიძღვება ევროკავშირისკენ.

> *„გამართულად მუშაობენ სათანადო ორგანოები, სწავლობენ სიტუაციას, ინფორმაციებს და აანალიზებენ პროგნოზულ მონაცემებს. ამის შესახებ განცხადებაც კი გაკეთდა, აქედან გამომდინარე, მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, რომ არავითარი არეულობა არ იქნება, შეუძლიათ აბსოლუტურად მშვიდად იყვნენ და იმ პარტიას მისცენ ხმა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან*

## „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური საგანგებო რეჟიმში იმუშავებს

ელექტრონულ არჩევნებთან დაკავშირებით, საპარლამენტო არჩევნების დღეს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური საგანგებო რეჟიმში იმუშავებს. ყველა მუნიციპალიტეტში 24 საათის განმავლობაში იმუშავებს საგანგებოდ დანიშნული მორიგე ჯგუფები, მობილიზებული იქნება ტექნიკაც.

ცენტრალურ საარჩევნო კამპანიას მორიგე და პასუხისმგებელი პირების სია უკვე გადაეგზავნა. ცესკოს წარმომადგენელს პირდაპირი კონტაქტი ექნება კომპანიის მთავარ დისპეტჩერთანაც. კომპანია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად შეეცდება, რომ საარჩევნო პროცესმა ენერგომომარაგების მხრივ უმტკივნეულოდ ჩაიაროს. მნიშვნელოვანია, რომ შენობებში, სადაც საარჩევნო უბნები იქნება განთავსებული, ელექტროენერგიის შიდა ქსელი იყოს მოწესრიგებული, - აღნიშნულია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ზაალ მიქელაძე: იმაზე მეტ ბიულეტენში გაფერადდება 41, ვიდრე წარმოუდგენიათ!..

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*აჭარის ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებზე, წინასაარჩევნო სიტუაციასა და ქვეყნის მომავალზე საუბრობს „აჭარასთან“ მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო სიის 54-ე ნომერი* **ზაალ მიქელაძე.**

**- რას გვეტყვით წინასაარჩევნოდ?**

- ძალიან მოკლე წინასაარჩევნო პერიოდი გვქონდა, აჭარაში მხოლოდ ბათუმის რამდენიმე ლოკაციაზე ვიყავი და ჩემს ქობულეთელებთან მოვახერხე შეხვედრა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში ვერ მოვასწარი ჩასვლა. ფიზიკურად ვერ შევძელი, რადგან ამჟამად აღარ ვარ მხოლოდ ერთი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, უკვე პარტიული სიით წარმოვადგენ „ქართულ ოცნებას“ და ხმა უნდა მივაწვდინო მთელი ქვეყნის ამომრჩევლებს. წლების განმავლობაში, დაწყებული რიგითი ექიმობიდან, ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ვმოღვაწეობდი, ჯერ - ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის, შემდეგ საყოველთაო დაზღვევის ხელმძღვანელად, აჭარის ჯანდაცვის მინისტრად, პარლამენტარად... ამ პერიოდებში უამრავ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ ხალხს, რადგან სწორედ მათი თანადგომით შევძელით ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის აუცილებელი ძალიან ბევრი პროექტის განხორციელება.

**- მაინც რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში ჯანდაცვაში?**

- ძალიან ბევრი რამ. დავიწყოთ იქიდან, მე რომ მივედი ამ სტრუქტურაში, ექვსი მილიონი ლარი იყო აჭარის ჯანდაცვის ბიუჯეტი, თან საერთოდ არ არსებობდა საყოველთაო დაზღვევის სისტემა. ამ ექვსი მილიონით რამდენს გაწვდებოდი? დღეს, როდესაც ყველა ძირითადი ტვირთი სახელმწიფომ აიღო თავის თავზე საყოველთაო დაზღვევით თუ სხვა სახელმწიფო პროგრამებით, აჭარის ბიუჯეტს 70 მილიონ ლარზე მეტი აქვს გათვლილი ჯანდაცვაზე. მარტო ეს მიღწევებიც კი მიგვითითებს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ არჩევნებზე და რატომ უნდა მივცეთ ხმა ამჟამინდელ მმართველ პარტიას.

**- ბატონო ზაალ, ამერიკამ კარი მოგვიხურა, ევროპა ვიზების გაუქმებას გეგმავს. რას ფიქრობთ დასავლეთის პროტესტზე საქართველოსთან მიმართებით, რამ გამოიწვია პარტნიორების ასეთი განაწყენება?**

- დასავლეთის პროტესტი ერთი კონკრეტული ჯგუფის მიერ შეკვეთილი გაუგებრობაა. აქ საუბარია გაბრაზებულ, ცალკეულ ევროპარლამენტარზე და ზოგიერთი ქვეყნის ლიდერზე. ისინი განაწყენდნენ იმიტომ, რომ სააკაშვილი მათ მიერ შეკვეთილი პროექტია და არ მოსწონთ მისი ჩავარდნა. რა ვქნათ, ჩვენი ბრალი არ არის, თავიდანვე სწორად უნდა გაეკეთებინათ აქცენტები. არ შეიძლება, დემოკრატიად შეასაღო ადამიანებს ის მარაზმი, რაც ქვეყანაში ხდებოდა. ამიტომ გადავდგით კონკრეტული ნაბიჯი...

**- გულისხმობთ კანონპროექტების პაკეტის მიღებას, რომელიც ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვას ითვალისწინებს?**

- დიახ, უკვე კითხვის ნიშნები გაუჩნდა ბევრს ევროპასთან დაკავშირებით. არადა, არ არის ევროპა ასეთი, იქ მართლაც ფასობს ოჯახური ღირებულებები. ჩვენ გვახსოვს ევროპული ქვეყნების ლიდერები იმ საბჭოთა პერიოდშიც კი, როდესაც ყველაფერი აკრძალული იყო, ჩუმად ვუსმენდით, ვკითხულობდით ამ ბუმბერაზი ადამიანების შესახებ ინფორმაციებს, მათ გამონათქვამებს. დღეს ფსევდოლიბერალური კანონები წამოსწიეს წინ, ამას ეფარებიან და იგივე ევროპასა და ევროპელებში ასაღებენ. მე, როგორც პედიატრი, ვერ დავუშვებ გონებაში, რომ თუკი ბავშვი რაღაც თამაშს შეასრულებს, ბიჭი - გოგოსას, ხოლო გოგო - ბიჭისას, მივცეთ უფლება მშობლებს, თავს მოახვიონ პატარას სხვა სქესი ან 12 წლის ბავშვმა თავად გადაწყვიტოს, გოგო უნდა გახდეს თუ ბიჭი, ეს უზნეობაა. ანატომია ყველას უსწავლია და იქსის და იგრეკის გარდა, ბუნებაში არ არსებობს სხვა სქესი. ყველაფერი ეს კეთდება ადამიანების გონების ასარეცად და დასამორჩილებლად. ჩვენ გონიერი ერი ვართ და იმედი მაქვს, ტაშს არ დავუკრავთ ამ მარაზმს, თუნდაც ამ აპლოდისმენტებით ევროპაში ამოვყოთ თავი. ჩვენ მივდივართ იმ ევროპისკენ, სადაც პატივს სცემენ ერთმანეთის კეთილგანწყობას, ტრადიციებს, პარტნიორობას და ჯანსაღ საზოგადოებას. ჩვენ ხომ თავიდანვე ვიცოდით, რომ იმ სქემაში ვერ ჩავჯდებოდით, რომელსაც თავს გვახვევდნენ. რასაც ითხოვენ, იმის შედეგი თვალნათლივ დავინახეთ უკრაინაში... ვერც სხვებს და ვერც საკუთარ თავს მივცემთ უფლებას, იგივე ცეცხლში გავხვიოთ საქართველო, როგორშიც უკრაინა გახვიეს. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: როდესაც უკრაინას ვახსენებ, ტკივილს განვიცდი. ეს ქვეყანა ჩემთვის არ ასოცირდება არც პრეზიდენტთან, არც პრემიერთან ან მინისტრებთან. იმ მილიონამდე დაღუპულ უკრაინელ ვაჟკაცს შორის არც ერთი არ არის მაღალჩინოსნის შვილი, იმ ათ მილიონ ლტოლვილს შორის არიან, მაგრამ მათ საზღვარგარეთ ელოდებათ ძვირფასი ვილები და კომფორტული ცხოვრება. ისინი არ რჩებიან ქუჩებში ღამის გასათევად და არ უწევთ შავ მუშახელად ყოფნა ოჯახების გამოსაკვებად.

**- ხშირად საუბრობენ საქართველოს ომში ჩართვაზე...**

- 2008 წელს უკვე გავიარეთ ომის 5 დღე და კარგად ვიცით, რა ხდებოდა, რითი დასრულდა ყველაფერი. მაშინ არანაირი ვალდებულება არ მქონია, მაგრამ ვისაც აინტერესებს, შეუძლია მოიკითხოს და გაიგოს, რომ იმ ათი დაღუპული ქობულეთელი გმირის ოჯახები არ მიმიტოვებია, მხარში ვედექი, კარდაკარ დავდიოდი ყველა გამოწვევის დროს, რათა შემემსუბუქებინა ცხოვრება. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ყველა პროგრამაში ჩავსვით ეს ხალხი შეღავათების გასაწევად. შესაძლოა, ბევრი არაფერი იყოს, მაგრამ სააკაშვილის დროს ლარსაც არ აძლევდნენ ამ ოჯახებს. ჩვენ დავიწყეთ სამი ათასით და ახლა ათი ათას ლარს აძლევენ ერთჯერადად, ხოლო დედებს და მეუღლეებს - სამ-სამი ათას ლარს. ღმერთით, მეტის მიცემა შევძლოთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. მე ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას ვემსახურებოდი სააკაშვილის მმართველობის დროს და ყველა უმწეო ჩემ თვალწინ გადიოდა. ქობულეთის პატარა რაიონში 32 ათასი ოჯახი იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს მიღმა. დღეს ეს რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი. რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, სულაც გავანულოთ, მაგრამ მერწმუნეთ, შედარება არ არის მაშინდელ და ამჟამინდელ სიტუაციასთან. ათი ლარი ვერ გაიმეტეს ერთი ბავშვისთვის და ჩვენ ახლა 200 ლარს ვაძლევთ. სამ და ოთხბავშვიან ოჯახებს ეს დახმარება ჰყოფნით პროდუქტის და ელემენტარული საჭიროების დასაკმაყოფილებად. აღარ ვილაპარაკებ ჯანდაცვის იმ პროგრამებზე, რომლებსაც ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ზედიზედ ვახორციელებდით. გაზეთ „აჭარას“ ყველაზე უკეთ გახსოვთ, როდესაც სამინისტროს სახსრები მივმართეთ ონკოპაციენტებისკენ, რადგან მართლაც აუტანელ მდგომარეობაში ვარდებოდნენ პაციენტებიც და მათი ოჯახებიც. ალბათ, არც ის დაგვიწყებიათ, როდესაც ოპოზიციიდან ტელეგადაცემის მეშვეობით შეგვეხმიანნენ და ხვრელში გადაყრილი ფული უწოდეს ამ თანხებს. აბა, ჰკითხეთ ონკოლოგიური ავადმყოფების ოჯახებს, რა იყო მათთვის ეს დახმარება. შესაძლებელია, ერთ დღეში ნებისმიერი სიცოცხლე დასრულდეს ლეტალურად, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გავაკეთოთ ის, რაც გვმართებს და ბოლომდე ვებრძოლოთ ამ საშინელი სენის გამოწვევებს, მით უმეტეს, რომ უკვე ძალიან ბევრის გადარჩენა, ბევრისთვის კი სიცოცხლის გახანგრძლივებაა შესაძლებელი.

**- თუ შეიძლება, ზოგადად, ჩამოთვალოთ, რა გაკეთდა ამ მიმართულებით აჭარაში? როგორც ვიცით, აქ უფრო მეტს აფინანსებენ, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.**

- მთელი ტვირთი მაინც სახელმწიფომ აიღო, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა, უბრალოდ, შევეხიდეთ პაციენტებს თანაგადახდაში, რადგან ესეც უჭირდათ და ხშირად ვერ მიჰყავდათ მკურნალობა ბოლომდე. ონკოლოგია ფართო სფეროა. ოპერაციები, ქიმიო და სხივური თერაპია სახელმწიფომ აიღო საკუთარ თავზე, მაგრამ დარჩა მთელი რიგი მიმართულებები მედიკამენტების, საკმაოდ ძვირად ღირებული თანამედროვე ტარგენტული მკურნალობის, რომელთა დაფინანსებას აჭარის ბიუჯეტი ახორციელებს. ფინანსდება ნებისმიერი ძვირად ღირებული ოპერაცია. მარტო ღვიძლის ტრანსპლანტაცია 130 ათასი ლარი ჯდება, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია 170 ათასიდან 230 ათასამდე ლარი ღირს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და ყველა მოქალაქეს ვუფინანსებთ, წარმოგიდგენიათ? ამაზე ფიქრსაც ვინ ბედავდა? ვერც - გვარი, ვერც სოფელი ვერ შეძლებდა ამდენი ფულის შეკრებას განწირული ადამიანის გადასარჩენად, ჩვენ კი ეს ყველაფერი შევძელით. გარდა ამისა, მანამდე უმწეობა განისაზღვრებოდა 57 ათასი ქულით, რომელიც 70 ათასამდე ავწიეთ, ახლა კი 120 ათასი ქულის მქონე ყველა მოქალაქეს სახელმწიფო უხდის ბავშვზე 200 ლარს, ხოლო აჭარაში 120 ათასიდან 150 ათასამდე ქულის მქონე ოჯახებსაც უხდიან.

**- მოსახლეობაში რომელი პროგრამა უფრო პოპულარულია?**

- სხვათა შორის, შეხვედრებზე ხშირად გვიხდიან მადლობას სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის გამო. მართალია, აქაც შემოგვედავა ოპოზიცია და აბსურდულად ჩაგვითვალა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მოსახლეობა არ ეთანხმება, რადგან ეს საკითხი მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილებას ეხება აჭარის მაღალმთიანეთში. ყველა პროგრამა კონკრეტულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ხალხს ემსახურება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 5 საბავშვო ბაღი იყო, ახლა კი 50-მდეა. უამრავი რამ მოწესრიგდა, აღარაფერს ვამბობ დაგებულ გზებზე, გაზიფიცირებაზე, რომელმაც სოფლებს სული მოათქმევინა... დაიწყო წყლის მიწოდების პრობლემის ერთიანად მოგვარების უზარმაზარი პროექტი. მასში მთელი აჭარაა ჩართული და წლების შემდეგ ყველა სოფელს და დაბას ექნება წყლის მიწოდების 24-საათიანი უწყვეტი სისტემა. ყველა სფეროში, ყველა დარგში უამრავი რამ კეთდება, ამის არდანახვა შეუძლებელია და საპირწონედ ვერანაირად ვერ დაგვიყენებენ წინა ხელისუფლებას, რადგან ისინი რას აკეთებდნენ, ჩვენზე კარგად არავინ უწყის.

**- ქობულეთის დელეგატებად წარდგენილ კანდიდატებზე რას გვეტყოდით?**

- საქართველოს პარლამენტში კენჭს იყრის გია ჭყონია, რომელიც ბევრი სასიკეთო პროექტის ინიციატორი და განმახორციელებელი იყო და დღემდე არ იცის, რის გამო გახდა პრობაციონერი იმ ხელისუფლების დროს. ალბათ - მხოლოდ კეთილი საქმეების კეთების გამო. აჭარის უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრის ცოტნე ანანიძე, რომელიც სიმართლის თქმის გამო უნივერსიტეტის მერხიდან პირდაპირ ჯურღმულში აღმოჩნდა. ექვს კვადრატულ მეტრში 30 ადამიანი ერთად იჯდა, უფრო სწორად, იდგა და მხოლოდ ორ-ორი საათი, რიგრიგობით იძინებდა. რა შეიძლება ამას ეწოდოს, თუ არა წინა ხელისუფლების სადისტური ქმედება. ორივე დელეგატი კარგად იცნობს წინა რეჟიმს და იცის, თუ რა მოხდება მათი მმართველობის აღდგენის შემთხვევაში. გიორგიც და ცოტნეც ყველაფერს გააკეთებენ ქობულეთისთვის და საქართველოსთვის. ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ამომრჩევლებმა უნდა იცოდნენ, რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა მათი არასწორი არჩევანის შემთხვევაში. ძალიან ვთხოვ ყველას, გაიაზრონ, გაიხსენონ, გააანალიზონ და ისე მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. იგივე უბედურებაში ქვეყანამ თავი მეორედ არ უნდა ამოჰყოს. ჩვენ მივესალმებით ყველა კონსტრუქციულ ოპოზიციას, მაგრამ უკვე კარს მოგვადგა არჩევნები და ჯერ არც ერთს არ წარმოუდგენია არც გრძელვადიანი და არც მოკლევადიანი რეალური პროგრამა.

**- რატომ, ხაზარაძე ხომ დაგვპირდა 1000-ლარიან პენსიებსა და 200 ათას სამუშაო ადგილს?**

- ხაზარაძეს და მის მომხრეებს ნამდვილად ვერ აღვიქვამ ადეკვატურად. როგორ არ რცხვენია სიტყვით გამოსვლა იმ ხალხის წინაშე, რომელიც თავად დააკბალა?! აჭარას და ქობულეთს დღემდე მოჰყვება იპოთეკარების პრობლემა. ოჯახებიდან გამოყრილი ადამიანები ახლაც ჩივიან სასამართლოებში. ხაზარაძის გამოსვლა ლოზუნგით - ამ ქვეყანაში მევახშეობა დავასრულოთო, დაცინვაა იმ ხალხის, დღემდე რომ ვერ გაიმართა წელში მისი პროცენტების და მევახშეობის გამო. ჩვენდა საუბედუროდ, ოპოზიციის მხარეს არ დაგვრჩა ჯგუფი, რომელიც რაიმე ახალ შემოთავაზებას, ხედვას წარმოადგენს.

**- მომავალში როგორ ხედავთ საქართველოს დამოკიდებულებას დასავლეთთან?**

- აშშ-ში მალე ჩატარდება არჩევნები, დარწმუნებული ვარ, ომიც დასრულდება უკრაინაში და ძალიან ბევრი რამ შეიცვლება მსოფლიოში. დასავლეთში შერცხვებათ იმ ნარატივის, რომელსაც ახლა ავრცელებენ - პირდაპირი შანტაჟით და მუქარით ერევიან არჩევნებში, ცდილობენ, შეცვალონ ჩვენი მოქალაქეების არჩევანი, მაგრამ მე მჯერა ჩვენი ერის გონიერების და ვიცი, იმაზე მეტ ბიულეტენში გაფერადდება 41, ვიდრე საქართველოს გარეშე თუ შინაურ მტრებს წარმოუდგენიათ.

> *მე რომ მივედი ამ სტრუქტურაში, ექვსი მილიონი ლარი იყო აჭარის ჯანდაცვის ბიუჯეტი, თან საერთოდ არ არსებობდა საყოველთაო დაზღვევის სისტემა. ამ ექვსი მილიონით რამდენს გაწვდებოდი? დღეს, როდესაც ყველა ძირითადი ტვირთი სახელმწიფომ აიღო თავის თავზე საყოველთაო დაზღვევით თუ სხვა სახელმწიფო პროგრამებით, აჭარის ბიუჯეტს 70 მილიონ ლარზე მეტი აქვს გათვლილი ჯანდაცვაზე. მარტო ეს მიღწევებიც კი მიგვითითებს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ არჩევნებზე და რატომ უნდა მივცეთ ხმა ამჟამინდელ მმართველ პარტიას*

# ევროპული კურსი შეუქცევადი რომ იყოს...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა მაღალია, რაც განპირობებულია მოახლოებული არჩევნებით. ოპოზიციური ცენტრები ხელისუფლების უუნარობასა და ქვეყნის კურსის ცვლილებაზე ამახვილებენ ყურადღებას. თავის მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის მოღალატეობრივ საქმიანობაზე საუბრობენ. საქართველოში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა, ახალ რეალობას ჩაუყაროს საფუძველი: თუ მმართველი პარტია არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, იგი მეოთხედ შეძლებს ხელისუფლებაში დარჩენას. არც ისაა გამორიცხული, ქვეყანას კოალიციური მთავრობა ჰყავდეს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბრობენ ოპოზიციონერები და ანალიტიკოსები*

*როგორია დღეს რეალობა, ორიენტირი და ასპექტები, რომლებიც უთუოდ უნდა დავინახოთ, ევროპული კურსი შეუქცევადი რომ გახდეს? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა-ს) პროფესორი* ***გიორგი კობერიძე.***

**- არჩევნების დემოკრატიულობის მთავარი ბარომეტრი საარჩევნო გარემოა. რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე?**

- საქართველოში საარჩევნო გარემო უკიდურესად დაძაბულია, კრიტიკული. პოლიტიკური მოთამაშეები ერთმანეთს ექცევიან არა ისე, როგორც მეტოქეები, არამედ როგორც მტრები. ამასთან, ფსონზე დევს არა შიდაპოლიტიკური საკითხი, არამედ საგარეო პოლიტიკური არჩევანი, ამიტომაც დაძაბულობა პოლიტიკურ სივრცეში ძალიან მაღალია. ასევე, ძალიან მაღალია ცვლილებების მოლოდინი. როგორადაც უნდა დასრულდეს არჩევნები, ამ ყველაფერს გრძელვადიანი შედეგი ექნება.

**- პრაქტიკულად, საარჩევნო გარემო დასასრულს უახლოვდება. როგორ შეაფასებთ პარტიების საარჩევნო სტრატეგიას, რამე სიახლე თუ შენიშნეთ მათ საქმიანობაში?**

- „ქართული ოცნების“ მხრიდან სიახლეს ვერაფერს ვხედავთ - მეტოქეებს კვლავ ბილბორდებზე აქვეყნებს, აგენტებს ეძახის. ერთადერთი, რაც ამ პოლიტიკას დაემატა მმართველი პარტიის მხრიდან, ევროკავშირის გაშავების პროცესის დაწყებაა. ეს არ არის ჯანსაღი კრიტიკა, ეს მათი მხრიდან სწორედ გაშავების ღია პროცესია. ვხედავთ, რომ სიტუაცია ამ მხრივ დამძიმებულია. რაც შეეხება ოპოზიციას, ის უფრო პასიურია და ეს შეიძლება სტრატეგია იყოს, რაც საკმაოდ ეფექტურია, რადგანაც ამ მიმართულებით ახლა ზედმეტი აქტიურობა პოლიტიკურ პარტიებს არ სჭირდებათ. თავიდათავი ის გახლავთ, რომ პოლიტიკური პარტიები (ოპონირების თვალსაზრისით) ახლა ერთმანეთს კი არ აკრიტიკებენ, არამედ ორიენტირებულები არიან საარჩევნო სივრცეში საგარეო პოლიტიკის საკითხის შემოტანაზე, რადგან შიდა პოლიტიკამ, ერთგვარად, მეორე პლანზე გადაიწია.

**- ქართულ ოპოზიციაში რამდენიმე ცენტრი ჩამოყალიბდა. რას ფიქრობთ ამ გადაჯგუფებებზე?**

- ვფიქრობ, რომ ეს ცენტრები არის დროებითი. მათი მიზანია მმართველი პარტიის შეცვლა. თუ რაიმე ფორმით მმართველმა პარტიამ არჩევნები მოიგო და ძალაუფლება შეინარჩუნა, ეს პოლიტიკური ღერძები ისევ დაპირისპირებული იქნებიან ერთმანეთთან და მათი გაერთიანების შანსები ნაკლებია, ხოლო თუკი ოპოზიციამ მოახერხა არჩევნებში უმრავლესობის მოპოვება, მაშინ, სავარაუდოდ, მოუწევთ დათმობაზე წასვლა. სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობას“ მეტი შანსი აქვს, გახდეს ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია, მას ყველაზე მეტი დათმობაც მოუწევს, რადგანაც „ნაცმოძრაობის“ მხრიდან მთავრობის ჩამოყალიბება (როგორც ლიდერი პარტნიორის მხრიდან) ნაკლებად მოსალოდნელია. მას მოუწევს დათმობა და კომპრომისი მცირე პარტიებთან.

**- ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ, ჯამში, იმარჯვებენ, მაგრამ გახარიას პარტია არ აპირებს „ნაცმოძრაობასთან“ კოალიციის შექმნას. აქედან გამომდინარე, რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება?**

- რთულია ამ მიმართებით გახარიას პოზიციაზე საუბარი იმიტომ, რომ არ ვიცით, მისი პარტია არჩევნებში რამდენ პროცენტს აიღებს. თუ მას არჩევნებში არ ექნება იმდენი პროცენტი, რომ გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდეს, მაშინ, სავარაუდოდ, დათმობაზე წასვლა მოუწევს, რადგანაც ალტერნატივის შემთხვევაში ეს ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, ანუ თუკი მთავრობა ვერც მოქმედმა უმრავლესობამ და ვერც ოპოზიციამ ჩამოაყალიბა, ეს ავტომატურად ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს და რამდენად აწყობს ეს ოპოზიციას, უკვე სადავო საკითხია. ვფიქრობ, არჩევნების შემდგომი რეალობა უკარნახებს გახარიას, როგორ და რანაირად მოიქცეს.

**- ამას წინათ „ედისონ რისერჩმა“ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ოპოზიცია იმარჯვებს. რამდენად სანდოა მსგავსი კვლევები?**

- ზოგადად, პოლიტიკური კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თუ ეს ხალხის განწყობის ანუ რეალური სიტუაციის ასახვას ემსახურება. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს არიდებს საკუთარი აზრის დაფიქსირებას, რაც ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკაში ჩაბმული მოქალაქეების უმეტესობის აზრი არ ვიცით, ამიტომაც ხშირად აზრს მოკლებულია ამ კვლევებზე დაყრდნობა. მარტივად რომ ვთქვათ, თუ მოსახლეობის მინიმუმ 25 პროცენტი აზრს არ აფიქსირებს, ეს ნიშნავს, რომ რეალური სურათი არ ჩანს. ცოტა სხვანაირი სურათია ნატოსთან და ევროკავშირთან მიმართებით. ამ მხრივ, პოზიციის დაფიქსირება ღიად ხდება, ამიტომაც არის, რომ უფრო საინტერესოა კვლევები ამ მიმართულებით. საერთოდ კი კვლევები აქტუალურია.

**- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნულ კვლევებს არ ენდობიან, რადგან მათი რეიტინგი 60 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. რას ფიქრობთ?**

- ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის ნდობა-უნდობლობაზე საუბარი არაფერს ცვლის. სინამდვილეში, ჩვენ არ ვიცით, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პოზიციას არ აფიქსირებს, რატომ იქცევა ასე - იმიტომ, რომ ოპოზიციას უჭერს მხარს და ეშინია აზრის დაფიქსირების, თუ იმიტომ, რომ მმართველი გუნდის მხარდამჭერია და, ერთგვარად, რცხვენია მასთან აფილირების. ამიტომაც არის ეს საკითხი ღიად დარჩენილი. კვლევები საქართველოში პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით მაინცდამაინც სწორი და თანმიმდევრული ყოველთვის არ არის, გვხვდება საკმაოდ სერიოზული აცდენებიც, მსგავსი რამ ყველა ქვეყანაში ხდება... საერთოდ, პრობლემა გადაუწყვეტელი ამომრჩეველია, რომელიც საკუთარ აზრს არ აფიქსირებს.

**- მმართველი პარტიის წევრები იმასაც ამბობენ, რომ ოპოზიციის ნაწილი დესტაბილიზაციას გეგმავს...**

- მმართველი პარტიის მხრიდან ნებისმიერი განცხადება ახლა არის პოლიტიკური განცხადება, საკუთარი მოსახლეობის დაშინების მცდელობა, რომ დასავლური ძალები ამას და ამას აპირებენ, რომ ოპოზიცია დესტაბილიზაციას გეგმავს, ხელისუფლება ყოველი არჩევნების წინ აკეთებს მსგავს განცხადებებს. ეს არის ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედება საკუთარ მოსახლეობაზე და ამ ხერხით ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. ხელისუფლება, რომელსაც აქვს მაღალი მხარდაჭერა, კარგი პოლიტიკური იდეები და ხედვა, მსგავს განცხადებებს არ გააკეთებს და საკუთარი მოსახლეობის დაშინებას არ დაიწყებს.

**- ორპარტიული თუ მრავალპარტიული იქნება მომავალი პარლამენტი?**

- ვფიქრობ, მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლება, რაც ქვეყნისთვის ყველაზე ოპტიმალურია, რადგან რაც უფრო მეტი დემოკრატია იქნება, მით მეტი შანსია, ყველა ადამიანის პოზიცია იქნეს დაფიქსირებული, გამოხატული და ყველა ადამიანის მოთხოვნა იყოს გათვალისწინებული. საერთოდ, საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს მრავალპარტიული მმართველობა, ეს პოლიტიკურ პროცესებს გაუუმჯობესებს და კითხვა, მაშ, ვის მივცე ხმა, მოქალაქეთაგან აღარ დაისმება.

**- რომელ ძირითად პოლიტიკურ ცენტრებს შორის წარიმართება ბრძოლა?**

- რეალურად, არის ორი პოლიტიკური ცენტრი - ოპოზიციური და სახელისუფლებო, მაგრამ არჩევნებში ხელისუფლების დამარცხების შემთხვევაში მივიღებთ უფრო მრავალპარტიულ პარლამენტს, სადაც იარსებებს კოალიციის შანსი და ეს სიტუაციას მხოლოდ და მხოლოდ გაუუმჯობესებს. ამ ეტაპზე, მთავარი არა შიდაპოლიტიკური და შიდაიდეოლოგიური, არამედ საგარეო პოლიტიკური საკითხია და ოპოზიციური ფლანგებიც ამის შესახებ გამოკვეთენ პოზიციას, კერძოდ, აფიქსირებენ აზრს, რომ ამჟამად საქართველო დგას საგარეო პოლიტიკური ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე. ამიტომაც ნაკლებად არიან ორიენტირებულები შიდაპოლიტიკური საკითხების გადაჭრაზე. ცენტრებს შორის კონფლიქტზე, ამ ეტაპზე, საუბარი ნაკლებად სავარაუდოა, ხოლო თუკი ხელისუფლება შეიცვალა, ცხადია, ამაზე საუბარი იქნება ძალიან აქტუალური.

**- პარტიებს რამდენად საფუძვლიანად აქვთ ჩამოყალიბებული პროგრამები ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით?**

- აქ ისევ ორი არჩევანია, ერთი - ევროპული კურსი და ევროპული კურსის მხარდაჭერა და მეორე - რაღაც ბუნდოვანი, უფრო სწორად, პრორუსული კურსი. ამიტომაც ღრმა წიაღსვლებზე აღარ არის საუბარი, სიღრმეებში არ არის გაწერილი პროცესი არა იმიტომ, რომ პარტიებს ამის უნარი არ აქვთ, არამედ იმიტომ, რომ დაკვეთა არ არსებობს ამ ეტაპზე, დაკვეთა არის მხოლოდ და მხოლოდ ის, თუ სად ხარ შენ, რომელი კურსით მიგყავს ეს ქვეყანა. ეს არის მაქსიმუმი, რასაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთგვარად აყალიბებენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ამის წარმოსაჩენად.

**- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივებს. რამდენად რეალურია გარდამავალი მთავრობის შექმნა და ერთ წელიწადში ახალი არჩევნების ჩატარება?**

- სავარაუდოდ, რიგგარეშე არჩევნები, რაღაც ფორმით, იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციის მთავარი მიზანი ამ ეტაპზე არის ხელისუფლების შეცვლა, უკვე შემდგომი პროცესები კი უფრო მეტად ნაკარნახევი იქნება თავიანთი ანუ პარტიული დღის წესრიგის დაბრუნებით და, სავარაუდოდ, რიგგარეშე არჩევნების მოლოდინი უფრო რეალისტური იქნება. რამდენად იმუშავებს ტექნიკური მთავრობა, ეს ცალკე საკითხია - ტექნიკურ მთავრობას ცალკე აქტიური მხარდაჭერა სჭირდება პოლიტიკური ძალებისგან და ეს პოლიტიკური ძალები მუდმივად საფრთხის ქვეშ იქნებიან, წინასწარ რაიმეს რომ დაუჭირონ მხარი. არჩევნების შემდეგ სავარაუდოა, რომ ისინი საკუთარი კანდიდატების წინ წამოწევას, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებას შეეცდებიან, რომლის მუშაობა გრძელვადიანად, ცოტა არ იყოს, მეეჭვება, მოკლე ვადაში კი მას შეეძლება, ევროკავშირთან მოლაპარაკება აწარმოოს...

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ. არის საუბარი, რომ შესაძლოა, ქვეყანას ვიზალიბერალიზაცია შეუჩერონ...**

- ეს იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები გაყალბდა და მთავრობამ მოახერხა ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ არჩევნები ლეგიტიმურად მოიგონ. თუ ხელისუფლებამ ძალაუფლება მართლა ხელში ჩაიგდო, ეს, მაღალი ალბათობით, შეეხება როგორც ვიზალიბერალიზაციას, ისე ყველაფერ სხვას... მარტივად რომ ვთქვათ, საქართველო არ არის ის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ევროკავშირთან დაშორებას გაუძლოს. საქართველო, დიდწილად, ყოველთვის, 30 წლის განმავლობაში, იყო დასავლურ დოტაციაზე მყოფი ქვეყანა, ამით არსებობდა და ახლა დასავლეთის ჩამნაცვლებელი, პრაქტიკულად, არავინ იქნება.

**- უკრაინის ომი რა სტადიაშია?**

- ეს ომი საქართველოზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს. ვნახეთ, რომ რუსეთის არმია სამი წლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებებში არაერთხელ დამარცხდა, უკვე ორ თვეზე მეტია, რუსეთის ტერიტორიებიც კი ოკუპირებულია. ბოლო ერთი წელია, რუსეთს აქვს უწყვეტი შეტევის ციკლი, განსაკუთრებით - დონეცკის ოლქში, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ, ეს ციკლი არ არის დამაგვირგვინებელი და ომის მომგები იმიტომ, რომ უკვე სამი წელია, რუსეთი ცდილობს დონეცკის ოლქში საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს. სახელმწიფო, რომელიც ამბობდა, რომ მსოფლიოში მეორეა, სამი წელია, დონეცკის ოლქში ერთი პატარა ოლქის დაპყრობას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელები ახლა თავდაცვის რეჟიმში არიან, მათ ჰყავთ ძალიან დიდი რაოდენობით რეზერვი, ახალ-ახალი ბრიგადები და მათ გამოყენებას 2025 წელს აუცილებლად შეეცდებიან.

**- დაბოლოს, არის თუ არა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის?**

- ისტორიული მნიშვნელობის არის იმ გაგებით, რომ ეს ყველაფერი, პირველ რიგში, შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას. როდესაც ამბობენ, რომ ეს არჩევნები რეფერენდუმია, მთლად არასწორი განმარტება არ არის, რადგან გრძელვადიანად თუ შევხედავთ, არჩევნების შედეგად შეიძლება საქართველოში მივიღოთ დემოკრატია და პროევროპული კურსი ან ავტოკრატია და პრორუსული კურსი. აქედან გამომდინარე, 26 ოქტომბრის არჩევნები საქართველოსთვის გადამწყვეტია. თუ არჩევნებმა ძალიან ცუდად ჩაიარა, სანქციები არ აგვცდება, ხოლო თუ საქართველომ აჩვენა კარგი საარჩევნო შედეგი, რამაც შეიძლება უზრუნველყოს შანსები ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით, ჩვენც ისევე დაგვეხმარებიან სახელმწიფოს განვითარებაში, როგორც მოლდოვას ეხმარებიან. გაჩნდება შესაძლებლობა, მივიღოთ კიდევ უკეთესი სხვა ბევრი რამ!

> *„ ხელისუფლება ყოველი არჩევნების წინ აკეთებს მსგავს განცხადებებს. ეს არის ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედება საკუთარ მოსახლეობაზე და ამ ხერხით ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. ხელისუფლება, რომელსაც აქვს მაღალი მხარდაჭერა, კარგი პოლიტიკური იდეები და ხედვა, მსგავს განცხადებებს არ გააკეთებს და საკუთარი მოსახლეობის დაშინებას არ დაიწყებს*

# ზაზა მჟავანაძე: ეროვნული ქორეოგრაფია განვითარების მაღალ და საინტერესო ეტაპზეა

*ზაზა მჟავანაძე ქედის რაიონის სოფელ ხარაულაშია დაბადებული. კვალიფიციური ქორეოგრაფიული განათლების მიღების შემდეგ, პროფესიულ საქმიანობას შეუდგა. ამჟამად ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორია და თბილისში მუშაობს. ზაზას დაბადებიდან 55 წელი უსრულდება.*

**- ბატონო ზაზა, გენი ყოველთვის გამოძახილს ჰპოვებს. მამის ან დედის გვარში თუ გყავდათ ცეკვა-სიმღერის მოტრფიალე?**

- ბაბუა ოთარ მჟავანაძე და ბიძაჩემი დავით მჟავანაძე ხელოვნების დიდი მოტრფიალენი იყვნენ. მეტწილად მათი დამსახურებაა, რომ ამ გზას გავყევი.

**- 3 ათეულ წელზე მეტია, ქართული ქორეოგრაფიის განვითარება-პოპულარიზაციას ემსახურებით. გზა, რომელიც ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორობამდე გამოიარეთ?**

- ეს გზა ნამდვილად არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. სირთულეები ყველა საქმეს ახლავს და არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. განსაკუთრებით რთული იყო დედაქალაქში დამკვიდრების წლები. ვერც კი წარმომედგინა, თუ ოდესმე ვიმეგობრებდი და ვითანამშრომლებდი ისეთ ლეგენდარულ ადამიანებთან, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. დედაქალაქში ჩემი საქმიანობა დავიწყე მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მედიკების“ ქორეოგრაფად, შემდეგ გახლდით ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე შემოქმედებით დარგში. გარკვეული წლები ვიმუშავე საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირში, ჯერ - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად, შემდეგ - კავშირის თავმჯდომარის, შესანიშნავი ადამიანისა და დიდებული ხელოვანის, პროფესორ რეზო ჭანიშვილის მოადგილედ. დიდი სურვილი მქონდა, დამეფუძნებინა საკუთარი ორგანიზაცია და მეტი წვლილი შემეტანა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში. სურვილი რეალობად ვაქციე და ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი დავაარსე. ასეთ დიდ საქმეს, ცხადია, მარტო ვერ შეეჭიდები. გვერდით დამიდგნენ დიდებული ადამიანები, ქართული ქორეოგრაფიის მეტრები, ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებები, ბატონები: ომარ მხეიძე, ოლეგ ალავიძე, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, უჩა დვალიშვილი, ზაურ (ცაცქურა) პაპიაშვილი, ერეკლე საღლიანი, გივი სიხარულიძე. მე ვამაყობ მათთან მეგობრობით, თანამშრომლობით და ყველა იმ გაკეთებული საქმით, რომელიც მათთან მაკავშირებს.

**- თქვენი დამოკიდებულება ეროვნული ქორეოგრაფიის დღევანდელობაზე?**

- ვფიქრობ, რომ ეროვნული ქორეოგრაფია, ამჟამად, განვითარების მაღალ და საინტერესო ეტაპზეა. ეს მარტო დედაქალაქს არ ეხება. საქართველოს რეგიონებში გვყავს შესანიშნავი სახელმწიფო აკადემიური, მუნიციპალური და საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლები. კადნიერებაში ნურავინ ჩამომართმევს და ამ მხრივ აჭარა ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა. მისასალმებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დიდი ძალისხმევა და ძალიან კარგი პროექტები, რომელიც ხელს უწყობს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება-წინსვლას. ეროვნული ცენტრის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობას. კარგი იქნება, თუ საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიშლება ასეთი მასშტაბური საქმიანობა ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარების მიმართულებით.

**- რამდენად აფასებთ მათ ღვაწლს, ვინც პროფესიულ საქმიანობაში მწვანე შუქი აგინთოთ?**

- განუზომელია მათი ღვაწლი და ამაგი. დღეს ამ სფეროში თუ რაიმე სასარგებლოს და კარგს ვაკეთებ, სწორედ მათი დიდი დამსახურებაა. განსაკუთრებით გამოვყოფდი დიდებული ხელოვანების ენვერ ხაბაძისა და ზაურ ლაზიშვილის ამაგს ჩემს ხელოვანად ჩამოყალიბებაში.

**- დედაქალაქში ცხოვრება, წარმატებული ქორეოგრაფიული მუშაობა ენერგიისა და შესაძლებლობის მაქსიმუმს ითხოვს...**

- ზემოთ აღვნიშნე, რომ დედაქალაქში დამკვიდრება ძალიან რთული იყო, თანაც საკმაოდ ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცისთვის. ბევრი სირთულისა და წინააღმდეგობის გადალახვა მიწევდა. წარმატების მისაღწევად დიდი შრომა და ენერგია იყო საჭირო, თუმცა, დროთა განმავლობაში, ყველაფერი დავძლიე და დღემდე, ვფიქრობ, ჩემზე მინდობილ საქმეს პირნათლად ვასრულებ.

**- ბავშვებთან მუშაობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოცაა. რა წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა იმ ანსამბლებმა, რომელთა მთავარი ქორეოგრაფი იყავით?**

- ბავშვები საოცრებები არიან, განუზომელია ჩემი სიყვარული მათ მიმართ, მათთან მუშაობა კი მართლაც საპასუხისმგებლოა. შენ მარტო ცეკვას კი არ ასწავლი, ზრდი და აყვარებ ყველაფერს მშობლიურს, ეროვნულს, კაცებად და ქალებად, ნამდვილ ქართველებად ზრდი, თითოეული შვილივით გიყვარს. ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედმა საბავშვო ანსამბლებმა, წლების განმავლობაში არაერთგზის ისახელეს თავი ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალ-კონკურსებზე და დათვალიერებებზე. დღეს ჩემი გაზრდილი მოცეკვავეები უკვე სახელოვანი ქორეოგრაფები და სხვადასხვა ცნობილი ანსამბლის მოცეკვავეები არიან, რითიც ძალიან ვამაყობ.

**- საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა გიკავიათ. როგორ უთავსებთ ერთმანეთს ორგანიზაციაში საქმიანობას და ბავშვთა ანსამბლებთან მუშაობას?**

- ისევ და ისევ ბავშვების დიდი სიყვარული მაძლევს ძალას და ენერგიას, რომ ჩემი შესაძლებლობები თანაბრად მოვახმარო ორგანიზაციის საქმიანობას და საბავშვო ანსამბლთან მუშაობასაც.

**- ცხოვრების, შრომის გზაზე დაუძლეველი პრობლემები თუ გქონიათ?**

- ვფიქრობ, პრობლემების გარეშე ცხოვრება ცოტა უინტერესოც კი იქნებოდა.

**- როდის ხართ დამშვიდებული?**

- საუკეთესოდ დაგვირგვინებული საქმის შემდეგ ყოველთვის მშვიდად ვარ.

**- შვილები?**

- ჩემი შვილები ჩემი აღსაზრდელები არიან, უამრავი წარმატება და ცხოვრების გზაზე ბედნიერი დღეები მინდა ვუსურვო მათ.

**- კურიოზები თუ გახსენდებათ?**

- კურიოზი ბევრი მქონდა, რომელი ერთი გავიხსენო. თუმცა ერთს მაინც მოვყვები: საშუალო სკოლას ვამთავრებდი, რომლის დირექტორი ჩემი ბაბუა გახლდათ. მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ ავტოინჟინერი გამოვსულიყავი და მოსკოვში მესწავლა, რაც ბაბუაჩემის სურვილს ეწინააღმდეგებოდა. სკოლის დამამთავრებელ, ქართული წერის გამოცდაზე, ქართულის მასწავლებელმა, ქალბატონმა ქეთევან საფარიძემ ორიანი დამიწერა, რა თქმა უნდა, ბაბუაჩემთან შეთანხმებით. ასე ჩაიშალა ოჯახში ჩემი მოსკოვში წასვლის გეგმა. ერთ მშვენიერ დღეს მომკიდა ხელი ბაბუამ და ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში მიმიყვანა ზაურ ლაზიშვილთან. ასე, ბაბუაჩემის ძალისხმევით, გახდა ხელოვნება და ცეკვა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ხელოვნება კი საფასურად გულის სისხლს მოითხოვს.

**- გაჭირვების ჟამს ვინ გედგათ გვერდით?**

- მეუღლე მანანა უშიკიშვილი, რომელიც 18 წელია ჩემი თანამდგომია ჭირსა თუ ლხინში, ჩემთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანს. მანანა ჩემი მოტივატორია, სწორედ მისი დამსახურებაა ის, რასაც დღემდე მივაღწიე და საზოგადოებაში რა პოზიციაზეც ვარ.

**- სურვილს უფრო აფასებთ თუ ოცნებას?**

- მე რეალისტი ადამიანი ვარ, ოცნებით ნაკლებს ვოცნებობ. სურვილს ვაფასებ, უფრო რეალურია.

**- რას უსურვებდით მშობლიურ ქვეყანას და სათაყვანებელ აჭარას?**

- მშვიდობას, პირველ რიგში, წინსვლას და განვითარებას. მინდა ჩემს ქვეყანაში და ჩემს მშობლიურ კუთხეში ყველას ემღერებოდეს და ეცეკვებოდეს.

**- სამომავლო გეგმები?**

- სამომავლოდ, რამდენიმე მასშტაბური პროექტი მაქვს ჩაფიქრებული და ვფიქრობ, ჩემს გუნდთან და თანამოაზრეებთან ერთად, შევძლებ მათ განხორციელებას. ერთს გაგიმხელთ, დიდი სურვილი მაქვს, სოხუმში ჩავატაროო ფესტივალი სახელწოდებით „ქართული ცეკვის ზეიმი აფხაზეთში“.

**- იუბილეს, უეჭველია, მეგობრების წრეში გადაიხდით...**

- აუცილებლად. 55 წლის ვხდები, ამავდროულად, ეროვნული ცენტრისა და, ასევე, ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედი ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კრწანისის“ საიუბილეო მე-15 წელი გახლავთ და გრანდიოზულად მინდა აღვნიშნო. მეგობრების, მათი თანადგომისა და ერთგულების გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, პრინციპში, არც მიცხოვრია მათ გარეშე. ისინი ყველაზე უკეთ ხედავენ, რაც ხდება ჩემს ცხოვრებაში და ჩემ ირგვლივ. ამაგიც შესაბამისად მიფასდება.

**- ხარაულისთვის თუ იცლით და იუბილეს გადახდას აქაც ხომ არ ისურვებდით?**

- ვფიქრობ, რომ ვიცლი. არასდროს მავიწყდება ჩემი მშობლიური სოფელი. იუბილე კი მათზეა დამოკიდებული.

# სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ კრიტიკული სიტუაციაა

პირველმა თოვლმა დიდი პრობლემები შექმნა აჭარის მთიანეთში. არ დარჩენილა ოჯახი, რომელიც სტიქიის შემოტევისგან არ დაზარალებულიყო. ნაყოფს ვინღა დარდობს, როცა სველმა თოვლმა დაგლიჯა და დაამტვრია წლების განმავლობაში ნალოლიავებ-ნაპატრონები თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის ხეები.

დიდია ზარალი ენერგოსისტემაში. ორი დღის განმავლობაში დენის გარეშე იყო დარჩენილი აჭარის მთიანეთის აბონენტთა უმრავლესობა, რამაც ხელი შეუშალა სა-

სიცოცხლო ობიექტების გამართულ მუშაობას. 21 ოქტომბერს დენის მიწოდება აღდგა ხიჭაურის დასახლებამდე, მაგრამ 22 ოქტომბერს დილის საათებში ისევ გაითიშა.

თოვლმა, საავტომობილო გზებზე ჩამოწოლილმა მეწყრებმა პრობლემები შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებაში. მეწყრულმა პროცესებმა ავტომანქანების მოძრაობა შეაფერხა ხულო-ზანკების მიმართულებით, თოვლის გამო ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა გოდერძის უღელტეხილის გავლით, 21 ოქტომბრის დილის საათებიდან ქედის, შუახევის, ხულოს საავტომობილო გზებზე აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 35 ერთეულზე მეტი ტექნიკა მუშაობდა თოვლისა და მეწყრების გაწმენდაზე. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ცინარიძემ გვითხრა: „21 ოქტომბრის საღამოს საათებში მაღალი გამავლობის ტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებამდე. 22 ოქტომბრის საღამომდე ყველა სოფელსა და დასახლებულ უბანში საავტომობილო გზა მოწესრიგდება“.

22 ოქტომბერს სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი ნორმალურად დაიწყო სკოლებსა და ბაღებში.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე. იგი თავდაპირველად შუახევის მუნიციპალიტეტში აჭარის და შუახევის ხელმძღვანელ პირებთან ერთად არსებულ ვითარებას გაეცნო. ითქვა, რომ შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას უხვი ნალექით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ.

თოვლის საფარი თითქმის 50 სანტიმეტრს აღწევს ხულოს ტერიტორიაზე. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ ჯამბულატ მელაძესთან, აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მიმდინარე სალიკვიდაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. აქაც, ადმინისტრაციულ ერთეულებამდე და სოფლებში მისასვლელ საავტომობილო გზებს უწყვეტ რეჟიმში წმენდენ, აქტიურად მიმდინარეობს როგორც სასმელი წყლის მიწოდების, ასევე, ელექტროენერგიის აღდგენის სამუშაოები.

23 ოქტომბრის დილის საათებში დაბა შუახევისა და დაბა ხულოს ცენტრებში დენის მიწოდება აღადგინეს. საავარიო სიტუაცია ხიჭაურის დასახლების სიახლოვეს 35-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ანძის დაზიანების გამო შეიქმნა. მის აღდგენაში საავარიო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონის გურიისა და სამეგრელოს სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

დაბების ცენტრებში დენის მიწოდებას სასიცოცხლო ობიექტების გამართული მუშაობა მოჰყვა.

სიტუაცია ისევ კრიტიკულია 10 და 04-კილოვატიანი ხაზებისა და კაბელების დაზიანების მხრივ.

„კრიტიკული სიტუაციის დაძლევას ადგილზე არსებული რესურსით ერთ კვირაზე მეტი დასჭირდება. დახმარების ხელს გვიწვდიან რეგიონიდან ჩამოსული სპეციალისტები. თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო, უახლოეს დღეებში დენის მიწოდება ყველა აბონენტს აღუდგება“, - გვითხრა დასავლეთ საქართველოს რეგიონის ქედა-შუახევის მომსახურების ცენტრის მენეჯერმა დავით დავითაძემ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# მისი ცხოვრების მთავარი გეგმა – კარიერული წინსვლა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*დღეს გაგაცნობთ წარმატებულ ბათუმელ გოგონას, ლათინო-ამერიკული და სპორტული ცეკვების მოცეკვავე* ***ელენე ხინკილაძეს****. სულ ახლახან, „ბათუმის ცეკვის ფესტივალზე“, რომელიც „შერატონ ბათუმში“ გაიმართა, ერთდროულად პირველ და მეორე ადგილებზე გავიდა. ელენე 16 წლისაა, როგორც თავად გვითხრა, ცეკვა 6 წლის ასაკიდან, სტუდია „ბთ-არტში“ დაიწყო. სხვადასხვა კონკურსსა თუ ფესტივალზე აღებული აქვს როგორც გრან პრი, ისე საპრიზო ადგილები. საყვარელ საქმიანობაზე თავად გვესაუბრება.*




**- ელენე, როდის აღმოაჩინეთ, რომ ცეკვის ნიჭი გქონდათ?**

- დაახლოებით 2-3 წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემმა შეამჩნია, როგორი ენერგიითა და ემოციით ვცეკვავდი. მიხვდა, რომ მქონდა ნიჭი, რომლის გაღრმავება შეიძლებოდა. 6 წლის ასაკში შევედი სტუდია „ბთ-არტში“, ქორეოგრაფ თამარ ბერიძესთან. ჩემი ყველა წარმატება მისი დამსახურებაა და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო. უკვე 10 წელია, რაც აქტიურად ვარ ჩართული სპორტულ-სამეჯლისო ცეკვებში. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები ოჯახის წევრები არიან, განსაკუთრებით მამა, რომელიც ყველანაირად გვერდით მიდგას და მაქსიმუმს აკეთებს, რომ ვიყო წარმატებული და დავიპყრო მწვერვალები.

**- რატომ - სპორტული ცეკვები და არა სხვა?**

- ზოგადად, ცეკვა ჩემთვის თავისუფლებასთან ასოცირდება. საკუთარი თავი სპორტულ ცეკვებში ვიპოვე, მან მომცა შანსი, გამოვხატო, რასაც შინაგანად ვგრძნობ.

**- თქვენი მიღწევების შესახებ მოგვიყევით, როგორც ვიცით, საკმაოდ ბევრი კონკურსის მონაწილე და ჩემპიონი ხართ...**

- დიახ, ამ 10 წლის განმავლობაში არაერთ საერთაშორისო კონკურსსა თუ ფესტივალში მიმიღია მონაწილეობა, ვარ როგორც გრან პრის, ასევე, 1-ლი, მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელი. ბულგარეთის მეორე საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე პირველი ადგილი ავიღე, მე-19 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე - გრან პრი, „ბათუმის ცეკვის ფესტივალზე“ - საპრიზო პირველი და მეორე ადგილები და სხვა. ვფიქრობ, ამ ყველაფერმა საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვა.

> *„ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად მივიჩნევ იმ წაგებულ კონკურსებს, რომლებმაც სტიმული მომცა, მემუშავა საკუთარ თავზე და მიმეღწია იმ წარმატებისთვის, რომლითაც დღეს ვამაყობ*

**- ბოლო კონკურსზე გვიამბეთ - რა ემოცია დაგეუფლათ, ელოდით გამარჯვებას?**

- 2024 წლის 20 ოქტომბერს გაიმართა კონკურსი „ბათუმის ცეკვის ფესტივალი“, სადაც 1-ლი და მე-2 ადგილების მფლობელი გავხდი. სიმართლე გითხრათ, ველოდი გამარჯვებას, რადგან იმდენი შრომა და ენერგია ჩავდე ამ ყველაფერში, მჯეროდა, რომ დამიფასდებოდა.

**- რომელ კონკურსს ან ფესტივალს გამოარჩევთ და რითი დაგამახსოვრდათ?**

- ამ ბოლო კონკურსს გამოვარჩევდი, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო, რადგან არცერთ კონკურსზე არ მყოლია ამდენი გულშემატკივარი. ვიცნობდი თუ არა, ყველა მამხნევებდა და მხარს მიჭერდა, რაც ძალიან დიდი სტიმულია, განსაკუთრებით - მოცეკვავეებისთვის. ალბათ, ამანაც განაპირობა ჩემი გამარჯვება.

**- ყველაზე წარმატებული ნაბიჯი...**

- გაგიკვირდებათ და, ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად მივიჩნევ იმ წაგებულ კონკურსებს, რომლებმაც სტიმული მომცა, მემუშავა საკუთარ თავზე და მიმეღწია იმ წარმატებისთვის, რომლითაც დღეს ვამაყობ.

**- როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

- ჩემი დღე დილის 8 საათზე იწყება. მოგეხსენებათ, სკოლის მოსწავლე ვარ, ნახევარ დღეს სწავლას ვუთმობ, შემდეგ ცეკვის სტუდიაში რეპეტიციაზე მივდივარ და დარბაზში დაახლოებით 2-3 საათს ვატარებ.

**- თავისუფალ დროს რითი ერთობით?**

- თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ, მაგრამ არის მომენტები, როდესაც სახლში ყოფნა და წიგნების კითხვა მირჩევნია.

**- რომ არა ცეკვა, რა პროფესიას აირჩევდით?**

- ჩემი ცხოვრება ცეკვის გარეშე ვერ წარმომიდგენია, თუმცა პატარა ასაკიდან ჟურნალისტიკაში ვიყავი ჩართული და, ალბათ, ცეკვა რომ არა, ჟურნალისტი ვიქნებოდი.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- მთავარი გეგმა კარიერული წინსვლაა.

# ყველაზე ახალგაზრდა დირექტორი – საქართველოში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*მასწავლებლის პროფესია უდიდესი პასუხისმგებლობაა - ბავშვის შესაძლებლობების აღმოჩენასა და პიროვნულ განვითარებაში ძალიან დიდი როლი მასწავლებელს ეკისრება. ჩვენი რესპონდენტი 23 წლის* ***ლევან ყარაულაშვილია,*** *რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტში 19 წლის ასაკიდან მასწავლებლად მუშაობდა, რამდენიმე თვის წინ კი სოფელ დირბის საჯარო სკოლის დირექტორად დაინიშნა.*

**- ქალაქში ცხოვრებასა და კარიერას სოფელში წასვლა არჩიეთ. რამ გიბიძგათ ამისკენ?**

- სოფელი დაცლის პირასაა, ყველა ქალაქში გადადის საცხოვრებლად და სამუშაოდ. არაფერია იმაზე კარგი განცდა, გქონდეს გააზრებული, რომ მომავალი თაობის აღზრდას ემსახურები საზღვრისპირა რაიონში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში. მეკითხებიან, რატომ - სოფელი? მე კითხვას კითხვითვე ვპასუხობ - და რატომ ქალაქი?!

**- რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ სკოლის ახალგაზრდა დირექტორი?**

- ეს ნიშნავს, იყო მუდამ დაკვირვების ქვეშ, გრძნობდე პასუხისმგებლობას. სოფელი ისეთი დასახლებაა, გინდაც რაიონი, რომ ერთმანეთს ყველა იცნობს. ჩემთვის ახალგაზრდა დირექტორის სტატუსი, უდიდეს ვალდებულებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი მოტივაციაც არის.

> *„საჭიროა გააზრებული სწავლება, ახსნა, თუ რა შედეგს მოიტანს კონკრეტული საგნის არა დაზეპირება, არამედ ცოდნა. უნდა მოისპოს დაზეპირების პრაქტიკა. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს უნდა მიუდგეს, როგორც ინდივიდს, განსაკუთრებულს*

**- გაიხსენეთ დირექტორის ამპლუაში თქვენი პირველი სამუშაო დღე...**

- სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებამდე პედაგოგიური კოლექტივი შემხვდა ძალიან დადებითად. ყველასთვის უცხო ვიყავი, პირადად არავინ მიცნობდა, მაგრამ გამოიჩინეს სითბო, ნდობა და მომცეს შესაძლებლობა. მახსენდება სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ყურადღება - მან დამათვალიერებინა სკოლა, გამაცნო, შეძლებისდაგვარად, ყველა სივრცე.

**- როგორი იყო სოფლის მოსახლეობისა და მოსწავლეების რეაქცია?**

- დღეს დირბში რომ მოიკითხოთ ჩემი სახელი, უარყოფითს არცერთი ადამიანი არ იტყვის, ასე მინდა, გაგრძელდეს. ამ სკოლაში მხოლოდ განვითარების სურვილმა და მაღალმა მოტივაციამ მომიყვანა. ერთი საინტერესო მომენტიც იყო. მახსოვს, ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა: ჩემს შვილს ეშინოდა, ფიქრობდა, რომ ზღვარგადასულად მკაცრი იქნებოდიო. იმ ბავშვმა ამ ერთი კვირის წინ, როცა ჩემს კაბინეტში მანდატურმა მოიყვანა, გამოსვლისას მითხრა: მკაცრი ხარ, მასწ, მაგრამ „ჯიგარიო“. სიმკაცრეს ყველა აღნიშნავს, მაგრამ უსამართლო არ ვარ. უსამართლობას ყველაზე მეტად ვერ ვიტან.

**- სკოლაში რა შეცვალეთ?**

- სკოლაში მისვლისთანავე პედაგოგებში გავააქტიურე მოტივაცია. მაგალითად, დიდი პრობლემაა საათების განაწილება, კლასის დამრიგებელიც მხოლოდ გარკვეული ნაწილია. ავუხსენი, რომ მომავალი წლიდან უპირატესობა მიენიჭება აქტიურ პედაგოგს, მას, ვინც შედეგს მაჩვენებს. სასწავლო პროცესის პარალელურად, მიმაჩნია, რომ საჭიროა კლასგარეშე აქტივობები, ღონისძიებები... სკოლაში არ იყო მატერიალური საშუალებები - გამოვასწორეთ. აღმოიფხვრა გაკვეთილზე დაგვიანების, გაცდენის, სკოლიდან გაპარვის მანკიერი პრაქტიკა. მოსწავლეების ჩართულობით ნელ-ნელა იქმნება ტელეფონის ყუთები. შევთანხმდით, რომ ტელეფონის გამოყენება გაკვეთილზე არ შეიძლება. იგეგმება მოსწავლეთა მიძინებული თვითმმართველობის გააქტიურებაც.

**- ზოგადად, სოფელში ახალგაზრდა მასწავლებლების დეფიციტია. თქვენი აზრით, რა არის ამის მთავარი მიზეზი?**

- სოფელი, ზოგ შემთხვევაში, არ გვაძლევს განვითარების შესაძლებლობას, ქალაქი მეტად პრაქტიკულია, ალბათ - ამიტომაც, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი შემთხვევა მაგალითად იქცევა ახალგაზრდის სოფელში დაბრუნებისთვის.

**- რა უნდა გაკეთდეს სკოლაში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

- საჭიროა გააზრებული სწავლება, ახსნა, თუ რა შედეგს მოიტანს კონკრეტული საგნის არა დაზეპირება, არამედ ცოდნა. უნდა მოისპოს დაზეპირების პრაქტიკა. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს უნდა მიუდგეს, როგორც ინდივიდს, განსაკუთრებულს.

**- რა გამოწვევას ხედავთ სკოლაში, რა არის გასაკეთებელი და გასაუმჯობესებელი?**

- სასკოლო ინფრასტრუქტურა მოშლილია. ჩემი ინფორმაციით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩვენი სკოლაც ჩასმულია დაფინანსების ბადეში. იმედი მაქვს, მალე ვიხილავთ ამ ყველაფერს.

**- მოსწავლეებთან, ალბათ, მეგობრობთ კიდეც...**

- ვმეგობრობთ. სხვათა შორის, მოსწონთ ჩემთან ურთიერთობა, მოვლენ, მესაუბრებიან, სითბოს გამოხატავენ, ბიჭები სკოლის საქმეებში დახმარებას ცდილობენ. დისტანციას არცერთი არღვევს. სხვა სკოლებისა და მოსწავლეების არ ვიცი, მაგრამ ჩემთან მოწესრიგებული და აღზრდილი ახალგაზრდები სწავლობენ.

**- დღეს რამდენი მოსწავლეა სკოლაში და, თქვენი გადმოსახედიდან, რა არის მათთვის ყველაზე დიდი პრობლემა?**

- 375 მოსწავლე მყავს. პრობლემა რესურსის ნაკლებობაა, სოფლის სკოლებს ამ მხრივ გვიჭირს. არ არის ლაბორატორიები და კიდევ ბევრი რამ, ვგეგმავ პროექტებით, გრანტებით შევივსო დანაკლისი.

**- რა გინდათ, წლების შემდეგ მოსწავლეებმა რომ თქვან თქვენზე?**

- თქვან, რომ ღირებული იყო ჩემთან ურთიერთობა და ერთი სიკეთე მაინც შევძინე ფერადი მომავლის მშენებლობისას.

# „მოკვეთილი“ – ბათუმის დრამატულ თეატრში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სეზონი სპექტაკლ „მოკვეთილის“ (ვაჟა-ფშაველას პიესის მიხედვით) პრემიერით გაიხსნა. პიესა, რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს - 1894 წელს დაიწერა და აქცენტს ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე აკეთებს, თეატრის დიდ სცენაზე რეჟისორმა ვატო ჯუღელმა გააცოცხლა (მხატვარი - ხატია დავითაშვილი, კომპოზიტორი - ლუკა პაჭკორია, ქორეოგრაფი - თიკო ქოიავა, რეჟისორის თანაშემწე - ელენე კომახიძე)***

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: დავით ჯაყელი, ლაშა კონცელიძე, ლია აბულაძე, ნატო გოგიტაური, ნანა კიკვაძე, ლევან თედორაძე, მიხეილ ღომიძე, ქეთა ბარამიძე, გიორგი ყურავა, ზაზა ზოიძე, სესე მიქავა, ჯემალ ველიაძე, ხატია ფოფხაძე, თორნიკე ბარამიძე, ზურაბ გორგილაძე, ტამანგო ჯღერია, თამარ ბოლქვაძე, მარიამ მაშავა და ალექსანდრე ფაღავა.

- სამუშაო პროცესი 2 თვე მიმდინარეობდა, საკმაოდ შრომატევადი და აქტიური იყო, რადგან, მოგეხსენებათ, სპექტაკლში ბევრი მსახიობია დაკავებული. ამ ხნის განმავლობაში, ჩემთან ერთად, დასთან შეუჩერებლად მუშაობდნენ მოწვეული მხატვარი, კომპოზიტორი და ქორეოგრაფი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ. ასევე, დიდი მადლობა - დასის თითოეულ წევრს, რადგან ძალიან დიდ ავტორთან და საკმაოდ რთულ პიესასთან მოგვიწია შეჭიდება. დღეს ადვილადვე ვარქმევთ ადამიანებს სახელებს და ადვილადვე შეგვიძლია მათი გაწირვა. მოგეხსენებათ, ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება სწორედ იმ ადამიანების გვერდით ყოფნაა, რომლებიც შეიძლება უცებ გასწიროს სოციუმმა. ის მუდმივად უმცირესობის მხარეს დგას და ცდილობს, გაამართლოს ადამიანი და ის აზრი, რომელსაც, ერთი შეხედვით, ღირებულად არ მივიჩნევთ. მისი დრამატული პოემები, პიესა (იგი ერთადერთია ვაჟას შემოქმედებაში) თუ პროზაული ნაწარმოებები იმას გვასწავლის, რომ ერთი მხრიდან არაფრის ყურება არ შეიძლება. ყველაფერს აქვს თავისი მეორე მხარე, ჭეშმარიტება და ეს პიესაც იმიტომ შევარჩიე, რომ კარგი იქნებოდა, მაყურებელი ამაზე დაფიქრებულიყო. ეს არ არის სპექტაკლი, რომლის ყურებისას რაღაცაზე უნდა ვიხარხაროთ და ვიცინოთ. პრემიერებზე, რამდენადაც თვალ-ყურს ვადევნებდი, მაყურებელი კარგი მსმენელი გამოდგა, რაც ამ სპექტაკლს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მადლობა მათ ამისთვის, - გვითხრა რეჟისორმა ვატო ჯუღელმა.

- მოხარული ვარ, რომ ახალი თეატრალური სეზონი ასეთი შესანიშნავი მწერლის ნაწარმოებით გავხსენით. ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ ჩვენს რეპერტუარში ღირსეულ ადგილს დაიკავებს, რაც ძალიან კარგია იდენტობისთვის და ეროვნული სულის გაღვივებისთვის. ვფიქრობ, აქტიურად და საინტერესოდ გავაგრძელებთ ამ სეზონს, - გვითხრა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე ქანთარიამ.

- გილოცავთ მორიგი თეატრალური სეზონის გახსნას. ვთვლი, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩა სპექტაკლით, ტაში და ოვაციები არ წყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პიესა 1894 წელს დაიწერა, თუ ჩავუღრმავდებით, იგი დღევანდელ სიტუაციაზეც არის მორგებული. ქალის სიყვარული, მეგობრობა, ღალატი... ყველაფერი კარგადაა ასახული, - თქვა ჩვენთან საუბარში მსახიობმა ლევან თედორაძემ.

**სტუმარი**

# „სულში მინთიხარ, როგორც კალოთა“...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ასე წერს* ***ნაზი აბაშიძე-კალოთელი*** *თავის ერთ-ერთ ლექსში და ამ განცდის რეალობაში გვარწმუნებს. მას ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს როგორც არაერთი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორს, პედაგოგს, საზოგადოებრივ საქმიანობაში გამორჩეულს. ახლახან ჩაერთო კულტურულ პროექტში „თბილისობა“, სადაც მიწვეულია საპატიო სტუმრის სტატუსით. მალე მკითხველი მის ახალ კრებულ „გაელვებას“ იხილავს, რომელშიც წარმოდგენილი ლექსები და მოთხრობები საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ქალბატონ ნაზის შემოქმედებას.*

**- თქვენი შთაგონების წყარო...**

- ის უსაზღვროა და ინდივიდუალური. ძირითადად, ეს არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მიღწევებით, სიმამაცით, შემოქმედებით ან სხვა თვისებებით გვაძლევენ მაგალითს, ასევე, ბუნების სილამაზე, მრავალფეროვნება, ძალა, ხელოვნების ნიმუშები, მოგზაურობა. ახალი ადგილების, კულტურების და ხალხის გაცნობა, ოცნებები და მისწრაფებებიც კი შეიძლება იყოს ძლიერი მოტივატორი, ასევე, ინტუიცია - შინაგანი ხმა.

**- თქვენი ბოლო პოეტური კრებული „სულ სხვაა, როცა უყვარხარ პოეტს“ მკითხველმა გულთბილად მიიღო. რა დაარქვით შემდეგს?**

- ნამდვილად არ ველოდი იმ გამოხმაურებას, რაც წიგნის გამოცემას მოჰყვა. სათაური „სულ სხვაა, როცა უყვარხარ პოეტს“ სოციალურ ქსელში თანამოკალმეთა შორის გახდა ერთგვარი ინსპირაცია - იგივე სათაურით შეიქმნა თანაავტორთა მცირე კრებული და ერთმანეთი არა მარტო გაგვაცნო, დაგვამეგობრა კიდეც სხვადასხვა კუთხის შვილები. ახალ კრებულს „გაელვება“ დავარქვი, რომელსაც მკითხველი მალე გაეცნობა.

**- ახლო მომავალში მკითხველს რა ჟანრის ნაწარმოებს შესთავაზებთ?**

- ეს იქნება პოეზია და პროზა ერთ კრებულში. წიგნი დატვირთულია როგორც ფსიქოლოგიური, ასევე, რომანტიკული და ფილოსოფიური ელემენტებით...

**- თქვენი ფსევდონიმი „კალოთელი“, ლიტერატურულის გარდა, უფრო ფართო მნიშვნელობასაც მოიცავს.**

- დიახ, ჩემთვის ერთგვარი ალტერ-ეგოა, რომელიც შემოქმედებას აძლევს განსაკუთრებულ იდენტობას. რეალურად, მშობლიურ სიმყუდროვეს მაგრძნობინებს, მშვიდი და პოზიტიური აურით.

**სთვის რამდენად მნიშვნელოვანია მასში ჩართვა?**

- „ლიტერატურულ იალაღებზე“ - ეს იყო პროექტი, რომელიც მიმდინარე ზაფხულს განხორციელდა. გარკვეული მიზეზების გამო, პროექტში ვერ მივიღე მონაწილეობა. პარალელურად, ორგანიზაცია „ქალთა ლაშქარმა“ ქალბატონ გულო გაბაიძის ხელმძღვანელობით და საქართველოს „წითელი ჯვრის“ ხულოს ფილიალთან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი „ვეფხისტყაოსანი ხელიდან ხელში“. ეს დღეები, პირადად ჩემთვის, იყო სამახსოვრო და მოტივაცია პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასავლელად. ახლახან ჩავერთე გრანდიოზულ კულტურულ პროექტში „თბილისობა“, სადაც ვარ მიწვეული საპატიო სტუმრის სტატუსით და რისთვისაც მადლობა ხელმძღვანელებს - აკადემია „გვირილასა“ და ასოციაცია „საქართველოს ქალბატონებს“.

**- როცა ტრადიციებზე ფიქრობთ - რა შევინარჩუნოთ, რა უკუვაგდოთ?**

- რთული და სადავო საკითხია. შესანიშნავი და შესაშური გვაქვს სტუმარმასპინძლობის ტრადიცია. უსაზღვროდ მიყვარს „მთაბარობა“, იალაღები და მემთეურები, არ მომწონს ეგრეთ წოდებული ქელეხი.

**- ჩვენი მარადი თანამედროვე... ანუ ვის გამოიხმობდით წარსულიდან?**

- ძალიან საინტერესო კითხვაა. წარსულიდან ადამიანის გამოძახება ხშირად გვხვდება მითებში, ფანტაზიებსა და სამეცნიერო ფანტასტიკაში, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ეს შეუძლებელია. არ დავარღვევ საუფლო სიმშვიდეს, დაე, მშვიდად განისვენონ.

**- სიტყვები, რომლებსაც გააქრობდით ლექსიკიდან?**

- ნებისმიერ შეურაცხმყოფელ სიტყვას, განსაკუთრებით, როცა ყველაზე მოსაფერებელი სიტყვა „დედა“ არასასურველ კონტექსტშია გამოყენებული.

**- ისტორიული ძეგლები, ცოცხალი წინაპრები და ჩვენ...**

- აჭარის მთიანეთი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ძეგლებით, რომლებიც რეგიონის მდიდარ კულტურულ წარსულზე მეტყველებს. ბუნებრივი პირობები, მთიანი რელიეფი და ხშირი ნალექი ძეგლებს დამატებით საფრთხეს უქმნის. ჩემს სოფელში შემორჩენილი იყო ეკლესიის საკურთხევლის კედელი და კონქის ნაწილი. შენობა დარბაზული ტიპის ყოფილა, მიაკუთვნებენ მეათე საუკუნეს. გადარჩენილი კედლის მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე კალოთელის ეკლესია შესანიშნავად დამუშავებული და ალაგ-ალაგ ჩუქურთმებით შემკული თლილი ქვებით ყოფილა მოპირკეთებული. ხუროთმოძღვრული კომპლექსის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ქვის ფილები ქართული ასომთავრული წარწერებით. ერთ-ერთი მათგანი (ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით) აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული... როცა სოფლები უკვე იცლება მოსახლეობისგან, ჩემს სოფელში ისტორიული ძეგლების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებები ხორციელდება.

**- ხელოვნური ინტელექტი გარემოს ცვლის, ადაპტირება უკეთ რომ შევძლოთ, როგორც ციფრული შიგთავსის შემქმნელს, რჩევებიც გექნებათ...**

- ხელოვნური ინტელექტი არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია განვავითაროთ ჩვევები, რომლებიც დაგვეხმარება წარმატების მიღწევაში. რაც შეეხება რჩევებს: გამოიყენეთ ხელოვნური ინტელექტი მომხმარებლისთვის პერსონალიზებული შინაარსის შესაქმნელად. ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს ინსპირაციის წყარო, მაგრამ მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ადამიანური შეხება და კრეატიულობა.

**- სასკოლო პროგრამაში რა ჟანრის ნაწარმოებებს და რომელი მწერლების სწავლებას გაუწევდით რეკომენდაციას?**

- სასკოლო პროგრამის შედგენისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები, ლიტერატურის მრავალფეროვნება... ვისურვებდი პროგრამის შედგენაში მეტი პრაქტიკოსი მასწავლებლის ჩართვას.

**- ბათუმი დღეს, ხვალ და... როცა ბათუმის ქუჩებში დადიხართ...**

- ბათუმი ულამაზესი ქალაქია, სადაც ისტორია თანამედროვეობას ერწყმის. ბათუმის ქუჩებში სიარული ნიშნავს საკუთარ წარსულთან შეხებას. ყველაზე ხშირად ვხედავ მემედ ბეგს და ვეკითხები: თუ ისურვებდა აწმყოში გამოღვიძებას...

**- რწმენა, იმედი და სიყვარული ჩვენი კაცობის საძირკველი და ბალავარია. კიდევ რას დაამატებდით მათ?**

- მართალი ხართ. ეს ღირებულებები ათასწლეულების განმავლობაში გვაერთიანებდა ადამიანებს, გვაძლევდა ძალას და იმედს. ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა მრავალი ღირებულებაც, რომელიც ჩვენი არსობის აზრს ავსებს. რას დავამატებდი მათ? სილამაზის აღქმას, ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას, რაც სიამოვნების, აღფრთოვანებისა და შთაგონების წყაროა.

# ჰელენ იოსელიანი – ფერეიდნელი ქართველი, რომელიც გულით საქართველოს დაატარებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***- ჩვენ გკარგავთ ქართველებს, შენ კი დაგვიბრუნდი და მადლობა - ამისთვის, ჩვენ ერთი დიდი ქართველით ძლიერები ვართ, - ამ სიტყვებით მიმართა პოეტმა ბელა ქებურიამ ისპაჰანში მცხოვრებ ფერეიდნელ ქართველს, კალიგრაფ-დიზაინერ ჰელენ იოსელიანს, რომელსაც აჭარის მწერალთა სახლმა უმასპინძლა***

საღამო სავსე იყო ცრემლით, სიხარულით, სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას დადებით ემოციად დიდხანს გაჰყვება. ყველა მათგანი კიდევ ერთხელ ამაყი იყო იმით, რომ მათ წინაშე იდგა ქართველი ქალი, რომელმაც „იქ, შორეულ საქართველოში“ შეინარჩუნა ქართველობა, თავისი წილი სიყვარულით ეფერება „ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენას“, ქართულ დამწერლობას. იგი ღირსეულად აგრძელებს თავისი პაპის, სეიფულა ხან იოსელიანის გზას და ცდილობს, თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით კიდევ უფრო დაუახლოვდეს ფესვებს, სამშობლოს, რომლის სიყვარულს 400 წლის განმავლობაში ბზარი არ გასჩენია.

„ჰელენი არის ის ქართველი, რომელმაც იქ შეინარჩუნა ქართველობა, სადაც აკრძალეს. ყველანაირად ცდილობდნენ, ჩაეხშოთ ქართული გენი, ამათ კი ქართული ენა, დამწერლობა გამოახვიეს ნენეს კალთაში, მამის მჯიღში და დღემდე მოიტანეს. მადლობა მათ ამისთვის“, - თქვა პროფესორმა შორენა მახაჭაძემ.

განსაკუთრებულად ამაღელვებელი იყო ჰელენისა და ნიაზ ზოსიძის შეხვედრა, მწერლის, რომელმაც ფერეიდანში იმოგზაურა და იქაურ ქართველებს წიგნი მიუძღვნა. მისი თქმით, ერთხელ თუ მოინახულებ ფერეიდანს, კითხვაზე, თუ რანი ვიყავით და რანი ვართ, პასუხს მიიღებთ, რადგან იქ პატარა საქართველოა, სადაც ერთმანეთი ძალიან უყვართ. ამის დასტური კი ისაა, რომ ფერეიდანში 400 წელია ქართველს ქართველი არ მოუკლავს, მათ სახლებში ყველა ბალიშსა თუ ფარდაზე ქართული ორნამენტები და ასობგერებია დატანილი. ყველა სახლის კედელზე დიდი ქართველების - თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ფოტოებია დაკიდული. ნიაზ ზოსიძემ საქართველოს მოქალაქეობის მიღება მიულოცა ჰელენს და აღნიშნა, რომ ფერეიდნელ ქართველებს სხვა არაფერი სურთ, გარდა ერთისა - ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა.

- ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომ ისპაჰანში შევხვდი ჰელენ იოსელიანს. ის არის მთელ ისპაჰანში ყველაზე ლამაზი ქალი, სტუდენტების ყველაზე საყვარელი ლექტორი, პროფესორი. მისი მუზა არის საქართველო, შოთას „ვეფხისტყაოსანი“. ის არის უცნობილესი კალიგრაფისტი და ყველაზე მთავარი ისაა, რომ თავისი ჯიშით, ჯილაგით, ნიჭითაა ძალიან დიდი ქართველი. მიხარია, რომ სამი თვის წინ ის საქართველოს მოქალაქე გახდა. თუ მკითხავთ, ვინ არის ჩემთვის ქართველობის სიმბოლო, ვიტყვი, რომ ეს არის ჰელენ იოსელიანი, ძალიან დიდი გვარის შთამომავალი. მისი დიდი ბაბუა სეიფულა იოსელიანი იყო ერთ-ერთი უდიდესი ფერეიდნელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის, რომ ფერეიდანში ქართველებმა შეინარჩუნეს ქართველობა. მას ჰყავდა რაზმი, რომელიც ებრძოდა სხვადასხვა ტომს, ვინც ქართველობას თავს ესხმოდა. ის იყო პირველი გუბერნატორი ფერეიდნისა, სწორედ მისი თაოსნობით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ფერეიდანში, პირველი საავადმყოფო... ბევრი მნიშვნელოვანი რამ უკავშირდება მის სახელს. ჰელენი არის სულით, გულით ქართველი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ბედნიერი ვარ, რომ ჰელენს მიანიჭეს საქართველოს მოქალაქეობა. ყველა ფერეიდნელი ქართველის სურვილია ეს. სხვას არაფერს ითხოვენ. ფერეიდანში ცხოვრობენ ძალიან დიდი ქართველები, რომლებიც იმსახურებენ საქართველოს მოქალაქეობას და მჯერა, ასეც იქნება, - აღნიშნა ნიაზ ზოსიძემ.

ჰელენ იოსელიანს თავისი საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის, ღირსეული ქართველობისთვის მადლობა გადაუხადა თეოლოგმა, ისტორიკოსმა როინ მალაყმაძემ და დასძინა, რომ ჰელენი გამორჩეულია არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ პიროვნული თვისებებით და ვინც თუნდაც ერთხელ ნახავს მას, შეუძლებელია, კიდევ უფრო მეტად არ იამაყოს იმით, რომ მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს.

- როცა უსმენ ჰელენის დარბაისლურ ქართულს, მის ისტორიას, თუ ქართველი ხარ, თუ სამშობლოს, მამულიშვილობის სიყვარული გაქვს, შეუძლებელია, ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროს, ცრემლები არ მოგადგეს. ისპაჰანში (ირანში) მცხოვრებმა ჰელენმა შეძლო ესწავლა ქართული, თავის შემოქმედებაში გაეცოცხლებინა ქართული ენა და დამწერლობის საუკეთესო ნიმუშები, რისთვისაც მადლობას ვუხდი მას. მადლობა, რომ ღირსეულად აგრძელებს თავისი პაპის სეიფულა ხან იოსელიანის გზას, - აღნიშნა როინ მალაყმაძემ.

ჰელენს განსაკუთრებული სიყვარულით მოეფერა ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი ელზა ფუტკარაძე, რომელმაც მისი გაცნობის დღე გაიხსენა.

- ჰელენი დუზჯეში გავიცანი და სისხლი გამეყინა, რადგან ვიგრძენი, რომ ის ჩემი სისხლი და ხორცი იყო. კიდეც გამიხარდა, კიდეც მეტკინა, ამაყიც ვიყავი იმიტომ, რომ ჰელენი საუკუნეების წინ იქ გადახერგილი პატარა საქართველოს ცოცხალი სურათი იყო. რასაც ის აკეთებს, ნამდვილი გმირობაა. გმირობა მხოლოდ ის არ არის, ბრძოლის ველზე ხმალი ვატრიალოთ, გმირობაა ჰელენის თითოეული ნაბიჯი. ის დიდი ქართველია, სითბოსა და სიყვარულის ჩუქების უდიდესი ნიჭი აქვს. სულ მახსენდება პატრიარქის სიტყვები: დაიცავით თქვენი წილი საქართველო და ვფიქრობ, ჰელენმა ღირსეულად დაიცვა მისი წილი საქართველო. მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი, იქ ღირსეულად ქართველობს, - აღნიშნა ელზა ფუტკარაძემ.

ღონისძიების დასასრულ, სტუმრებს მადლობა გადაუხადა ჰელენმა და მოუბოდიშა, რომ მისი ქართული არ იყო გამართული, მაგრამ პირობა დადო, შემდეგ ჩამოსვლაზე უკეთ ვისაუბრებო.

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ, თქვენთან, ბათუმში ვიმყოფები. 15 წლის წინ პირველად ჩამოვედი საქართველოში და მას შემდეგ კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი სამშობლო, ჩემი ქართველები. ახლა აქ დიდი ოჯახი მყავს, ყველა მიყვარხართ, ჩემი გულია საქართველო. პაპაჩემი პირველი ფერეიდნელი იყო, რომელიც 1922 წელს ჩამოვიდა საქართველოში. საქართველო ისტორიული და დიდი კულტურის ქვეყანაა, აქვს თავისი დამწერლობა, რომელიც დიდი ბრძოლების ფასად მოიტანა დღემდე და ბედნიერებაა, რომ ამ ქვეყნის შვილი ვარ. 30 წელია კალიგრაფისტი და მხატვარი ვარ. პირველად რომ ვნახე ქართული ანბანი, გავოცდი, ისე მომეწონა, ულამაზესია. „ვეფხისტყაოსნის“ წიგნი რომ ვნახე, აღვფრთოვანდი, მერე ჩემს კალიგრაფიულ ნამუშევრებში გაჩნდა აფორიზმები და ასე ვცდილობ, მოვეფერო ქართულ ენას, დამწერლობას. სამი თვეა, საქართველოს მოქალაქე ვარ და ასე მგონია, ჩემზე ბედნიერი არავინაა დედამიწის ზურგზე. კიდევ ერთხელ გიხსნით სიყვარულს და გპირდებით, რომ სანამ ვარსებობ, სულ გავუფრთხილდები ჩემს ქართველობას და ყველაფერ ქართულს, - გვითხრა ჰელენ იოსელიანმა.

# „თამაში ჭვავის ყანაში – სამი ფათერაკიანი დღე“ – მორიგი პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში

პირველი გვერდიდან

რადგან იმ მომენტში ჩემს პერსონაჟს ერთდროულად აწუხებს ყველაფერი. ცოტათი არაჩვეულებრივი ბავშვია. ამ სპექტაკლში მე და დედაჩემი გადავიკვეთეთ, დიალოგებიც გვაქვს. სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ, არ გამჭირვებია, ის ისეთი პროფესიონალია, სულ არ მიგრძნია, რომ სცენაზე დედაჩემი თამაშობდა, პირიქით, ძალიან გამიმარტივა მუშაობა და თავს კომფორტულად ვგრძნობდი. ზოგადად, კარგი ჯგუფი შეიკრა და ძალიან მიხარია. გაგიკვირდებათ და, თავიდან ვერ ვიტანდი თეატრს (იცინის). როცა ვხედავდი, რომ ჩემი მშობლები რეპეტიციიდან დაღლილები სახლში გვიან მოდიოდნენ და დიდ დროს ერთად ვერ ვატარებდით, თეატრს ვაბრალებდი. შემდეგ „ჰელადოსში“ იანგულის როლის შესრულება მომიწია, რომელზეც კასტინგით მოვხვდი და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ თუ რომე ტყუილად ვუბრაზდებოდი მშობლებს და მართლა ძალიან დიდი შრომა სჭირდებოდა ამ საქმეს. როცა პირველი პრემიერა ვითამაშე და შუქი ჩაქრა, მაშინ ვიგრძენი, რომ ისეთი სასწაულია სცენაზე ყოფნა, სულ აქ უნდა ვიდგე, - გვითხრა მსახიობმა ლევან თედორაძემ.

- ბატონმა ალექსანდრემ ამ სპექტაკლში მონაწილეობა რომ შემომთავაზა, ძალიან გამიხარდა. ჩავთვალე, რომ კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყებოდა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. მითხრა, ერთი კი არა, სამი როლი უნდა ითამაშოო და იმ მომენტში ისე გამიხარდა, სულ არ დავფიქრებულვარ, ერთდროულად რანაირად შეიძლებოდა სამი როლის თამაში, თან საინტერესოდაც მეჩვენა. თუ მოვახერხე და სამივე როლში სხვადასხვა სახე შევქმენი, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. თითოეული პერსონაჟის როლში შესვლას გარკვეული დრო სჭირდება და ცხადია, იმ როლზე ფიქრობ, ახლა კი ყოველდღიურად სამ სხვადასხვა როლზე მომიწია ფიქრი. თავი როგორ გავართვი, ეს მაყურებელმა უნდა შეაფასოს, მაგრამ ვეცადე, რომ რაღაცით მაინც განსხვავებული ყოფილიყო თითოეული. ძალიან ვისიამოვნე სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში. ბატონი ალექსანდრე არ იშურებდა საერთოდ არაფერს, არც ჩვენთვის, არც სტუდენტებისთვის. ნამდვილად თბილი, სასიამოვნო ნოტებით დავიწყეთ და მგონი, ასევე, სასიამოვნოდ დავასრულეთ. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ბათუმის დრამატული თეატრის მიერ სტუდენტებისთვის გადადგმული ნაბიჯები. ეს მხოლოდ იმისთვის კი არ კეთდება, რომ სტუდენტები გაიზარდონ, მაყურებელიც უნდა გაიზარდოს იმიტომ, რომ ამ თაობის სპექტაკლს თავისი მაყურებელი ეყოლება. ეს ძალიან კეთილი საქმეა და ამისთვის ყველას უღრმესი მადლობა. რაც შეეხება ჩემი და ლევანის ერთად თამაშს, მოგეხსენებათ, დედის და შვილის ინსტინქტი საერთოდ სხვა რამ არის. ვღელავდი მისი ყოფნის გამო ჩემს სცენაზე და ყველა მის გადადგმულ ნაბიჯს განვიცდიდი, მის როლს ჩემს როლებზე მეტად ვგრძნობდი... სხვათა შორის, თეატრზე ოჯახში არასოდეს გვისაუბრია. ცხადია, სპექტაკლის პრემიერას ერთმანეთს ვულოცავდით, თუმცა, როცა რეპეტიციიდან სახლში ვბრუნდებოდით, როლზე და თამაშზე არასდროს ვსაუბრობდით, ამ შემთხვევაში კი იმდენი საუბარი მომიწია, მივხვდი, ეს, უბრალოდ, ბავშვს სჭირდებოდა. ვეუბნებოდი, რომ ეს მისი სამუშაოა და მე მას ვერ მოვახვევდი საკუთარ აზრებს. როცა ლევანმა გვითხრა, რომ სამსახიობოზე აპირებდა ჩაბარებას, ჩემთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. რატომღაც, მთელი ცხოვრება მეგონა, რომ კარგი ინჟინერი იქნებოდა (იცინის). ნამდვილად არ ველოდით მის ამ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და ზუსტად, რასაც გასცემ, იგივეს მიიღებ ამ პროფესიისგან, თუმცა ეს რომ მცოდნოდა, სიმღერაზე, ცეკვაზე მაინც ვატარებდი და გავუმარტივებდი პროცესს, - გვითხრა ქეთევან ეგუტიძემ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ აბაშიძის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/10/24, 17 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ლელას“ პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ სამდღიანი პრემიერა გაიმართა. სამივე დღეს მთავარ როლებს სხვადასხვა ვოკალისტები ასრულებდნენ. ლელას როლში მსმენელმა ლელა სიხარულიძე, ნონა კორიფაძე, ლელა გაშაყმაძე იხილა, გელას პარტია, შეასრულეს ბაჩო (ოთარ) ნაკაშიძემ, ზაზა ხამათაშვილმა, ალუდა თოდუამ, ბერდოს - გიორგი ონიანმა, შერგილის (ბერდოს მამა) - სულხან ჯაიანმა, ლევან მაკარიძემ, მოზარე ქალის - მირანდა კონცელიძემ, ლელა კახიძემ, ინგა ჯახუტაშვილმა, მლოცველი კაცის - ედუარდ გორგილაძემ***

სამივე დღის პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, დარბაზს მსმენელი არ აკლდა. ყოველი სპექტაკლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს რამდენიმეწუთიან ოვაციას უმართავდნენ. ეს იყო საოპერო სპექტაკლის დიდი ხნის მონატრებული ზეიმი. ჩვენს ქალაქში ოპერა „ლელა“ პირველად 30 წლის წინ დაიდგა, ამიტომ მოუთმენლად ელოდა მსმენელი ამ დღეს. სასიხარულოა, რომ მათი მოლოდინი გამართლდა - ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე კომენტარი ჩავწერეთ.

**მარიამ ჯახუტაშვილი, საოპერო დასის ხელმძღვანელი:**

- ვფიქრობ, ეს სამი დღე დიდი გამარჯვებების დღეა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ხარჯები მიზნობრივად დაიხარჯა. საუკეთესო სპექტაკლი გამოვიდა. ყველამ კარგად იმუშავა. ეს არის ნამდვილი საგასტროლო სპექტაკლი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბერდოს პარტიის შემსრულებელ გიორგი ონიანს - ერთი თვე არ გაჩერებულა, სამივე ლელასთან მღეროდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო სულხან ჯაიანიც. საერთოდ, ყველამ შესანიშნავად გაართვა თავი თავის პარტიას. ლელა სიხარულიძისთვის ეს დებიუტი იყო, მან სცენურად პირველად შეასრულა ლელა. მინდა ვთქვა, რომ ნამდვილი მსოფლიო ხმა აქვს და ეს აღნიშნეს კიდეც თამარ ივერის კონკურსზე. სამი ლელა გვყავს და ყველას თავისი ხიბლი აქვს. მოზარე ქალის პარტიასაც სამი სხვადასხვა მომღერალი ასრულებს და სამივე საუკეთესოა. მადლობა ზვიად ბოლქვაძეს და ინგა დავითაძეს, რომლებიც ყოველთვის მხარში გვიდგანან. შესანიშნავია დეკორაცია, კოსტიუმები. ვფიქრობ, რომ ევროპული დონის სპექტაკლია. იმედი მაქვს, საგასტროლოდაც გავიტანთ.

**ვასილ ჩიგოგიძე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

- აღფრთოვანებული ვარ და ვულოცავ ყველას - ამ შესანიშნავ ცენტრს, ბათუმს, აჭარას, საქართველოს.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრის კრიტიკოსი:**

- ვფიქრობ, სპექტაკლი ძალიან საინტერესოდ და ორიგინალურადაა გადაწყვეტილი, ძალიან ტრენდულია. ვულოცავ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს და საოპერო სტუდიას რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ ახლებულ პრემიერას, თანამედროვედ და სულ სხვაგვარად გააზრებულს, რეჟისორს საინტერესოდ და ორიგინალურად უმუშავია, მათ შორის, დეტალებზე და ისეთი პლასტებია გახსნილი ამ ოპერაში, რომელიც აქამდე ბევრს არ ჰქონდა აღმოჩენილი. „ლელას“ დადგმის დიდი ტრადიცია არსებობს და კარგია, რომ ეს გრძელდება. ჩემთვის აღმოჩენა იყო ბევრი სოლისტი, მიხარია, რომ მათ შორის ბევრი ბათუმელია. ძალიან სასიამოვნო იყო მათი მოსმენა. ვფიქრობ, ისინი შემდგომში სცენაზე მუშაობის უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენენ. და რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა იყოს პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომ შემოქმედებითი ცხოვრება გაცხოველდეს. თუ ეს პერმანენტულად არ გაგრძელდება, ყველაფერი ერთჯერად ხასიათს მიიღებს, მაშინ მას განვითარება არ უწერია. პროცესის განვითარება მუდმივ შრომასა და სიახლეში იბადება, რასაც ვუსურვებ ბათუმის საოპერო სტუდიას, რომელსაც შრომისმოყვარე ქალბატონი მარიამ ჯახუტაშვილი ხელმძღვანელობს. იმედი მაქვს, შრომისმოყვარეობა და ენთუზიაზმი მას არასოდეს გაუქრება.

**გოჩა კაპანაძე, დამდგმელი რეჟისორი:**

- მადლობა ყველას - ქალბატონ მარიამს, ზვიად ბოლქვაძეს, ინგა დავითაძეს, თითოეულ სოლისტს, მოცეკვავეებს... დარბაზში იმყოფებოდნენ რევაზ ლაღიძის ქალიშვილები, სწორედ მათ მიუძღვნა ავტორმა ეს ოპერა. ვფიქრობ, სპექტაკლი საინტერესოდ წარიმართა, გაცოცხლდა 30 წლის წინანდელი ემოცია, თუმცა დღეს სპექტაკლის მიმართ სხვა მოთხოვნაა, მაგრამ გენიალურია მუსიკა, რომელიც არ იცვლება, გულიდან ამოსული ამ დაუვიწყარი ჰანგების ზემოქმედება არ ნელდება. გენიალური კომპოზიტორია რევაზ ლაღიძე და, რა თქმა უნდა, დღესაც აგვაცრემლა, ჩაგვაფიქრა, ისევ სითბოსა და სიყვარულისკენ მოგვიწოდა. შესანიშნავია სოლისტები, გუნდი, ორკესტრი, მოცეკვავეები, დირიჟორები, ტექნიკური პერსონალი... ყველას, ვინც თავდაუზოგავად იშრომა, ძალიან დიდი მადლობა.

**ლელა ლაღიძე, რევაზ ლაღიძის ქალიშვილი:**

- უღრმესი მადლობა არა მარტო შესანიშნავი სპექტაკლისთვის, არამედ ასეთი თბილი მიღებისთვისაც, ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ძალიან დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ და გახარებულიც, რადგან დიდი ხანია არ დადგმულა ეს ოპერა. ვღელავდი, რომ

გორ მიიღებდა მსმენელი. დღეს ბედნიერი ვარ, ასეთი თბილი, გულმხურვალე ემოციებისთვის, შეფასებისთვის, ძალიან ვისიამოვნე. ალეკო ხომერიკმა დადგა ეს სპექტაკლი 90-იან წლებში და შესანიშნავი იყო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ძალიან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა დღევანდელი აღქმა და რახან ასეთი წარმატებული გამოდგა, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ.

**გიორგი ონიანი, უცხოეთში მოღვაწე საოპერო სოლისტი:**

- ამ როლზე ჩემი დებიუტი გახლდათ. წლებია, ქართული ოპერა არ მიმღერია, მით უმეტეს, ლაღიძესთან შეხება არ მქონია და უბედნიერესი ვარ, რომ ასეთი ულამაზესი პარტიის შემსრულებელი გავხდი. იმედია, მსმენელებმაც ისიამოვნეს.

**ლელა სიხარულიძე, სოლისტი:**

- ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან პრემიერების პირველ დღეს ვიმღერე. შესანიშნავი პარტნიორები მყავდა. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი ონიანს, მასთან მუშაობა ძალიან კომფორტულია, ის ჯერ პიროვნებაა და მერე საუკეთესო მომღერალი. ბაჩო ნაკაშიძესაც დიდი მადლობა, ის ყოველთვის ჩემ გვერდით არის. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი გამოსვლითაც და სპექტაკლის მიმდინარეობითაც.

**ბაჩო (ოთარ) ნაკაშიძე:**

- ემოციებით აღსავსე და ბედნიერი ვარ, მიხარია, ამდენი წლის შემდეგ ბათუმში კვლავ რომ გაიმართა რევაზ ლაღიძის „ლელას“ პრემიერა. შემდეგი სპექტაკლები უფრო კარგი იქნება, ეს ყოველთვის ასეა. მსმენელმაც ძალიან კარგად მიგვიღო. დაიწერა ახალი ფურცელი - ბათუმში „ლელას“ ახალი პრემიერა შედგა.

**სულხან ჯაიანი, სოლისტი:**

- აღუწერელია ემოციები. როგორც იქნა, ავმუშავდით და მსმენელს რევაზ ლაღიძის უკვდავი ოპერა „ლელა“ შევთავაზეთ. სპექტაკლები იდეალურად წარიმართა, ყველა საუკეთესო იყო. ასეთი კარგი შედეგი რეპეტიციაზე ნამდვილად არ გვქონდა. ვულოცავ ბათუმს ამ პრემიერას.

**დავით მუძერია, დამდგმელი დირიჟორი:**

- 31 წლის წინ დაიდგა აქ „ლელა“. დღეს კი აბსოლუტურად განსხვავებული, სხვაგვარად გადაწყვეტილი სპექტაკლი ვიხილეთ. რა თქმა უნდა, ქართული, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მელოდიებით გაჟღენთილი, მაყურებელს უყვარს მშობლიური, ძირძველი, ნამდვილი ქართული მუსიკა. გვიხარია, რომ ასეთ ამინდში ამდენი ხალხი მოვიდა და კმაყოფილიც დარჩა.

**ბელა ძებურია, პოეტი:**

- პირველივე წუთიდან დამატყვევა სცენოგრაფიამ, ქორეოგრაფიამ, გუნდმა, საოცარმა საოპერო მომღერლებმა. მიმაჩნია, რომ დღეს ბათუმში, ამ წვიმიან ამინდში საოპერო დღესასწაულის მზე აინთო. ყველას წარმატებას ვუსურვებ.

**ზვიად ბოლქვაძე, მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

- სპექტაკლში ყველანი ვიყავით ჩართულნი და მიხარია, დღეს ასეთ ბედნიერ სახეებს რომ ვხედავ. საოცარი მუსიკა ცოცხლად მოვისმინეთ და ეს დიდი ბედნიერებაა ჩემთვისაც. სპექტაკლი შედგა და ეს ყველამ ერთად შევძელით.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ხორუმი“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია გოჩა კაპანაძე, დამდგმელი დირიჟორი - დავით მუქერია, დირიჟორი - მამუკა ალაფიშვილი, სცენოგრაფი - ლომგულ მურუსიძე, დამდგმელი ქორეოგრაფი - ბაჩანა ჭანტურია, მხატვარი - ეკატერინე ჯავახიშვილი, კოსტიუმების მხატვარი - ქეთევან ციციშვილი, ქორმაისტერი - რუსუდან ბერიძე, კონცერტმაისტერები - ნანა კვირიკაძე, ეკატერინე ხომერიკი, მარინა ქიქავა, თეონა წულუკიძე, ციური დუმბაძე, საოპერო დასის ხელმძღვანელი - მარიამ ჯახუტაშვილი, მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი - ზვიად ბოლქვაძე, დირექტორი - ინგა დავითაძე, სადადგმო ტექნიკური ჯგუფის ხელძღვანელი - ზვიად მურვანიძე, მხატვრული განათება - კახაბერ გიგინეიშვილი, გახმოვანება - ვერა ქებულაძე.

# ჯიმსონ გურგენიძის შემოქმედება - ბათუმსა და ბათუმელებზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***„რეტროსპექტივა“ - ასე ჰქვია დიზაინერისა და არქიტექტორის ჯიმსონ გურგენიძის პერსონალურ გამოფენას, რომელიც აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში 22 ოქტომბერს გაიხსნა და 5 დღის განმავლობაში გაგრძელდება. დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, ნახოს ჯიმსონ გურგენიძის პასტელითა და ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტები, ფრესკების პასტელური ესკიზები, არქიტექტურული მაკეტები, განხორციელებული თუ განუხორციელებელი საკულტო და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობათა პროექტები***



გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია სკულპტურული პორტრეტები, ხის, ქვიშაქვის, კირქვის დეკორატიული ქანდაკებები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, ჰერალდიკური კომპოზიციები. ექსპოზიცია დარგობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ხელოვანის ინდივიდუალიზმს, განსაკუთრებულ ხელწერას, ბათუმსა და ბათუმელებზე შეყვარებული ადამიანის ცხოვრების გზას. ჯიმსონ გურგენიძე ამბობს, რომ თემის მიხედვით ირჩევს, თუ რა მასალით იმუშავებს, რომლით შეძლებს უფრო მკაფიოდ გადმოსცეს ესა თუ ის სათქმელი. ცდილობს, უპასუხოს საზოგადოების ინტერესებს და ამიტომაცაა, რომ მისი ნამუშევრები ყოველთვის აქტუალურია. ხელოვანმა მადლობა გადაუხადა გამოფენაზე დამსწრე ადამიანებს და აღნიშნა, რომ მზად არის ბათუმისთვის კიდევ არაერთი საინტერესო ნამუშევარი შექმნას.

- ჯიმსონ გურგენიძე ჭეშმარიტი, ნაღდი ბათუმელია, რომლის შემოქმედებაც ბათუმთან და ბათუმელებთანაა დაკავშირებული. მას არაერთი კოლორიტი ბათუმელის სკულპტურა აქვს გაკეთებული, მაგალითად, ციმციმასი, ბოცორიასი და კიდევ მრავლის, ვინც წარმოადგენდა და წარმოადგენს ბათუმის ღირსებას, სიკეთესა და სიყვარულს. მისი შემოქმედებითი ფანტაზია მის ნამუშევრებში ჩანს, არქიტექტურა იქნება ეს, დიზაინი, შენობები, სკულპტურები თუ ძეგლები. ჩემი წილი მადლობა მას იმ გზისთვის და შემოქმედებისთვის, რაც გაიარა და რასაც გაივლის მომავალში, - გვითხრა ხელოვანის მეგობარმა, ბათუმელმა ლევან გობრონიძემ.

ჯიმსონ გურგენიძეს წარმატებები უსურვა აჭარის მუზეუმის მთავარმა კურატორმა ლევან წულუკიძემ და დასძინა, რომ ხელოვანისგან ბათუმელები კვლავ მიიღებენ არაერთ საჩუქარს.

გამოფენას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილიც დაესწრო.

როგორც მან აღნიშნა, სამინისტრო მზად არის, გვერდში დაუდგეს ყველა ხელოვანს იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ბათუმსა და ბათუმელებს წარმოაჩენს არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

- დღევანდელ გამოფენაზე კიდევ ერთხელ ვნახეთ, რას ნიშნავს, იყო გაჟღენთილი ბათუმური სიყვარულით, ბათუმური სულისკვეთებით და შემდეგ ეს ყველაფერი მთელს ქვეყანას გააცნო. ვამაყობ, რომ ვარ იმ ქვეყნის შვილი, რომელსაც ჰყავს ასეთი არაჩვეულებრივი, სხვადასხვა ჟანრის ხელოვანი. ვფიქრობ, ჩვენ კიდევ წინ გველოდება ბატონი ჯიმსონის ახალი აღმოჩენები, ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი სახელოვნებო პროექტები, - აღნიშნა მინისტრმა.

აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა თეონა ზოიძემ წარმატებები უსურვა სახელოვან ხელოვანს და აღნიშნა, რომ ყოველთვის მზად არის, ნიჭიერ ადამიანებს ფართოდ გაუღოს მუზეუმის კარი.